

სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი



ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

დამატება №2

- * მონეტარული ფუნქციონირება
- * დამატების თარიღი და
ვითარება
- * დამატების პრაქტიკა
- * ფინანსები, ადრინსვა და
აუდიტი
- * მონეტარული საბუნებისმეტყველო და
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
მეცნიერებათა
- * კითხვა-პასუხები



2016

**უინანსური და
საპარამეტრიზო
კონსულტაციის ცენტრი**



გთავაზობთ:

გულგრილი და საგადასახადო
აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას
და გულგრილი და საგადასახადო აღრიცხვის
ანგარიშს ახლად შექმნილ და მოქმედ კომპანიებში

გულგრილი და საგადასახადო
აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით

კომპანიის საქმიანობის უინანსურ ანალიზს და
უინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დამუშავებას

ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონსულტაციის
დამუშავებას





gamomcemeli: Sps `biznes intel eqti-
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikul i el .Jurnal i
`gadasaxadebi -
*registrirebul ia #04-06/65, 10.08.2009 / **Registered** #04-06/65, 10.08.2009*

Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi-

mTavari redaqtori:
daviT j al aRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalagonia, Full Professor

pasuxismgebel i mdivani
marine xubua, asocierebul i profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gel aSvili
asocierebul i profesori

Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqniki redaqtori:
nazi gomel auri
Technical Editor: Nazi Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocierebul i profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocierebul i profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professor

iurist-konsultanti:
el guja qavTaraZe, asocierebul i profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

el . Jurnal i „gadasaxadebi -
registrirebul ia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

saredaqci o kol egi a
EDITORIAL BOARD

Tavmj domare: profesori daviT j al aRonia
Chairman: professor David Jalagonia

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi,
profesorebi:

Doctors of Economics, Professors:

| | |
|--------------------|----------------------|
| zaur amil axvari | Zaur Amilakhvari |
| rezo gvel esiani | Rezo Gvelesiani |
| simon gel aSvili | Simon Gelashvili |
| irma dixaminjia | Irma Dikhaminjia |
| kaxaber eraZe | Kakhaber Eradze |
| SoTa veSapi Ze | Shota Veshapidze |
| l arisa Takal anZe | Larisa Takalandze |
| zurab l ipartia | Zurab Lipartia |
| iakob mesxia | Iakob Meskhia |
| vl adimer RI onti | Vladimer Ghlonti |
| zaira RuduSauri | Zaira Gudushauri |
| Temur Sengel ia | Temur Shengelia |
| mixeil cikvil aZe | Mikheil Chikviladze |
| nodar xaduri | Nodar Khaduri |
| el ene xarabaZe | Elene Kharabadze |
| rezo xarebava | Rezo Kharebava |
| nanuli ZimceiSvili | Nanuli Dzimceishvili |

anJel ika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi el sever nariman oRli -
baqo, azerbaij ani
Kerimov Elsever Nariman Oglu - Baku, Azerbaijan

mimRebi: Sps `biznes intel eqti-
mimRebis IBAN angariSis # GE30BR0000010679562042
mimRebis banki: s.s banki `respublika-
bankis BIC kodi: REPLGE22

Beneficiary's name: Business Intellect Ltd
Beneficiary's IBAN NO: GE30BR0000010679562042 (USD)
Beneficiary Bank: BANK "REPUBLIC" TBILISI, GEORGIA
Correspondent acc. No: 00195464
SWIFT: REPL GE 22

T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri Sesazl oa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvani l faqtetisa da monacemebis sizusteze pasuxismgebel ia avTORI.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel , fasi 6 l ari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 6

ISSN 1987-9156



sarCevi / **Table of contents**

oficial uri dokumentebi / **Formal documents**

proeqti

saqarTvel os finansTa ministris brZaneba #

`gadasaxadebis administrirebis Sesaxeb- saqarTvel os
finansTa ministris 2010 wl is 31 dekemgris #996 brZanebaSi
cvl il ebis Setanis Taobaze5-22

oficial uri dokumentebi 23-70

komentarebi/manual ebi / **Comments/Manuals**71-74

gadasaxadebi , damateba #2, 2016

GADASAKHADEBI, EDDITION #2, 2016



პროექტი

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ბრძანება №

2016 წელი

თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1. „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111, 03.01.2011 წ.) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-40 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 40. მოგების გადასახადის დეკლარაცია

1. მოგების გადასახადის გადამხდელი მოგების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოში საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარადგენს №II-09 დანართის მიხედვით, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. საწარმო და არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულება (საწარმოები, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგრის ობიექტების მიხედვით) მოგების გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოში წარადგენენ №II-08^ბ დანართის მიხედვით.“.



2. დაემატოს დანართი №II-08⁶, თანდართული რედაქციით.

3. მე-40 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 40¹ მუხლი:

„მუხლი 40¹. მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის (დანართი №II-08⁶) შევსება

1. მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია შედგება ძირითადი ნაწილისა და დანართისაგან. დანართი დეკლარაციის განუყოფელი ნაწილია.

2. დეკლარაციის სტრიქონებში მონაცემები შეიტანება მათი დასახელებების (შინაარსის) შესაბამისად. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება დეკლარაციის სტრიქონებში მითითებული ლოგიკური ფორმულისაგან ან შინაარსისაგან განსხვავებული მონაცემების შეტანა, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია აღნიშნულზე დეკლარაციაში გააკეთოს სათანადო შენიშვნა.

3. დეკლარაციის I ნაწილში აისახება ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის რეკვიზიტების, დეკლარაციის ტიპის (პირველადი/შესწორებული) და საანგარიშო პერიოდის შესახებ, აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის („NACE“) კოდი „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის „სეკ 001-2004 „ეკონომიკური საქმიანობის სახეები“-ს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 22 დეკემბრის №1-1-/282 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ 001-2004 „ეკონომიკური საქმიანობის სახეები“-ს მიხედვით. ამასთან, თუ გადასახადის გადამხდელი ახორციელებს სხვადასხვა სახის საქმიანობას, მე-8 სტრიქონში მიეთითება იმ საქმიანობის სახეები „NACE“-ს კოდების მიხედვით, რომლიდანაც მიღებული შემოსავალი შეადგენს შემოსავლის 10%-სა და მეტს. ამ შემთხვევაში საქმიანობის სახეების მიხედვით ჩამოილი შემოსავლის პროცენტული მაჩვენებელი ჯამში შესაძლებელია 100% -ის ტოლი არ იყოს. მისამართის სვეტში მიეთითება საწარმოს ფაქტობრივი მისამართი.

4. დეკლარაციის II ნაწილი ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ, დეკლარაციის ქალაქის ფორმით წარმოდგენის შემთხვევაში, და აისახება ინფორმაცია საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის წარდგენისა და რეგისტრაციის შესახებ. თანდართულ დოკუმენტებში გადასახადის გადამხდელის მიერ მოგების გადასახადის გაანგარიშებასთან დაკავშირებით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას დამატებითი დანართები, მათ შორის, ახსნა-განმარტების სახით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. დეკლარაციის III ნაწილის:

ა) მე-16 სტრიქონი - მიეთითება განაწილებული მოგება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹ მუხლის შესაბამისად, რომელიც დეკლარაციის III ნაწილის 16.1, 16.2, 16.3, 16.4 და 16.5 სტრიქონებში ასახული თანხების ჯამის ტოლია;



ბ) 16.1 სტრიქონში ასახება წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდი. მათ შორის:

ბ.ა) საწარმოს ლიკვიდაციისას განხორციელებული გადახდა/განაცემი, რომელიც აღემატება კაპიტალში (საწესდებოსა და საემისიოში) პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას;

ბ.ბ) საწარმოს მიერ კაპიტალის შემცირების გზით აქტივების გადაცემა, (გარდა საწარმოს მიერ კაპიტალის შემცირებით სახელმწიფოსათვის ან/და მუნიციპალიტეტებისათვის აქტივების გადაცემისა, თუ ამ საწარმოს წილის/აქციების 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია) რომლის ღირებულებაც აღემატება კაპიტალში (საწესდებოსა და საემისიოში) პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას;

ბ.გ) საწარმოს აქციის/წილის გამოსყიდვისას განხორციელებული გადახდა/განაცემი (ლიკვიდაციისას ან კაპიტალის შემცირებისას), რომელიც აღემატება კაპიტალში (საწესდებოსა და საემისიოში) პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას.

შენიშვნა: 16.1 სტრიქონში არ შეიტანება:

ა) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, კომანდიტურ საზოგადოებაზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივზე (გარდა მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული აღნიშნული პირ(ებ)ისა) „ბ.ა-ბ.დ“ ქვეკუნქტებში აღნიშნული მოგების განაწილება;

ბ) საწარმოს მიერ უცხოური საწარმოსგან (გარდა შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისა) 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებული დივიდენდის განაწილება.





მაგალითი 1.

ფაქტობრივი გარემოებები:

საწარმომ 2017 წელს მიღებული წმინდა მოგებიდან (60 000 ლარი) მოახდინა პარტნიორზე გადახდა საწარმოს წილის საკუთრებაში გადაცემით (გაზარდა ამ პარტნიორის წილის ღირებულება, კაპიტალი იყო 20000 ლარი და გახდა 80 000 ლარი). საწარმომ 2018 წლის ივნისში პარტნიორ ფიზიკურ პირზე გასცა 90 000 ლარი - 40 000 ლარი წმინდა მოგების ხარჯზე, ხოლო 50 000 ლარით შეამცირა კაპიტალი.

ანალიზი:

წმინდა მოგებიდან საწარმოს მიერ პარტნიორზე მისი წილის ღირებულების გაზრდის მიზნით განხორციელებული გადახდა არ წარმოადგენს დივიდენდის განაწილებას და შესაბამისად 2017 წელს ასეთი გადახდა (60 000 ლარი) არ დაიბეგრა მოგების გადასახადით. განაწილებულ მოგებად არ ითვლება პარტნიორის მიერ შენატანის ოდენობის ფარგლებში განხორციელებული გატანა, შესაბამისად, 2018 წლის ივნისის საანგარიშო პერიოდის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრას დაექვემდებარება 30 000 ლარი ((50 000 - 20 000), ვინაიდან 20000 ლარი წარმოადგენს პარტნიორის მიერ განხორციელებულ შენატანს), ასევე ამავე საანგარიშო პერიოდის მიხედვით დაექვემდებარება დაბეგვრას წმინდა მოგების ხარჯზე გაცემული 40 000 ლარი.

შედეგი:

2018 წლის ივნისის საანგარიშო პერიოდის მიხედვით დივიდენდის სახით დაბეგვრას დაექვემდებარება 70 000 ლარი (30 000 + 40 000). შესაბამისად, 16.1 სტრიქონში ჩაიწერება 70000 ლარი.

გ) 16.1.1 სტრიქონში მიეთითება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდი (გარდა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, კომანდიტურ საზოგადოებაზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივზე (გარდა მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული აღნიშნული პირ(ებ)ისა) დივიდენდის განაწილებისა);

დ) მე-17 სტრიქონში აისახება ხარჯი (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული), რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან. კერძოდ:



დ.ა) 17.1 სტრიქონში აიხება ხარჯი, რომელიც დოკუმენტურად დადასტურებული არ არის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგადასახადო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გაწეული ხარჯების დოკუმენტურად დადასტურების ვალდებულებას;

დ.ბ) 17.2 სტრიქონში აისახება ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგების შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება;

დ.გ) 17.3 სტრიქონში აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის პირველი ნაწილის „გ“-„ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სხვა ხარჯი. კერძოდ:

დ.გ.ა) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან შექმნილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სტატუსის მქონე ფიზიკური პირის მიერ საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი საერთო წესით იბეგრება;

დ.გ.ბ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისაგან ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის (გარდა ამ კოდექსის 95³ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფიქსირებული გადასახადის განაკვეთით დასაბეგრი საქმიანობისა) ფარგლებში შექმნილ საქონელზე/მომსახურებაზე გაწეული ხარჯი;

დ.გ.გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის ფარგლების ზემოთ კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი პროცენტი;

დ.გ.დ) სპეციალური სავაჭრო კომპანიისაგან უცხოური საქონლის შესაძენად ამ საქონლის საბაჟო ღირებულებაზე მეტი ოდენობით გაწეული ხარჯი, გარდა იმ ხარჯისა, რომელიც ამ სპეციალური სავაჭრო კომპანიისათვის გადახდებს არ უკავშირდება.

ე) მე-18 სტრიქონი - მიეთითება გადახდები (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული), რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან. კერძოდ:

ე.ა) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შესაძენად განხორციელებული გადახდა;

ე.ბ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) გადახდილი, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი პირგასამტეხლო ან/და სხვა ჯარიმა;



ე.გ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) ავანსის გადახდა;

ე.დ) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის სესხის გაცემა ან/და ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნის შესაძენად განხორციელებული გადახდა. ეს ქვეპუნქტი არ ვრცელდება კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის მიერ ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებულ ოპერაციებზე;

ე.ე) ზარალი, რომელიც წარმოშობილია შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის მოთხოვნის უფლების გადაცემით ან მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმით;

ე.ვ) არარეზიდენტის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანის ან აქციის/წილისშესაძენად განხორციელებული გადახდა;

ე.ზ) ფიზიკური პირისათვის ან არარეზიდენტისათვის სესხის გაცემა ან/და რომელიმე ამ პირის მიერ მესამე პირისაგან აღებული სესხის დეპოზიტით უზრუნველყოფა, როდესაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის თანხის ოდენობა შეადგენს აღებული სესხის თანხას. ეს ქვეპუნქტი არ ვრცელდება კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე;

ე.თ) კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ან ლომბარდის მიერ პარტნიორ არარეზიდენტზე, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პარტნიორზე ან კაპიტალში არანაკლებ 1 პროცენტით მონაწილეობის უფლების მქონე პარტნიორ ფიზიკურ პირზე სესხის გაცემა ან/და პარტნიორის მიერ მესამე პირისაგან აღებული სესხის დეპოზიტით უზრუნველყოფა, როდესაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის თანხის ოდენობა შეადგენს აღებული სესხის თანხას.

ვ) მე-19 სტრიქონი - აისახება უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98³ მუხლით განსაზღვრული). კერძოდ:

ვ.ა) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან/და ძირითადი საშუალებების დანაკლისი;



ვ.ბ) კალენდარული წლის განმავლობაში საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემოწირულობა, რომელიც აღემატება წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10%-ს; ამასთან, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომისას შემოწირულობა მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ საანგარიშო პერიოდიდან, როცა მიმდინარე წლის განმავლობაში ჯამურად გაცემული შემოწირულობა გადააჭარბებს წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10%-ს;

მაგალითი 2.

ფაქტობრივი გარემოებები:

საწარმოს მიერ 2017 წელს მიღებული წმინდა მოგება შეადგენს 100 000 ლარს. 2018 წლის 5 იანვარს საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გასცა შემოწირულობა 5 000 ლარი, ხოლო აგვისტოს თვეში - 7 500 ლარი.

ანალიზი:

საწარმოს მიერ 2018 წლის განმავლობაში გაცემულმა შემოწირულობამ (5000+7500) გადააჭარბა წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10%-ს (12500 > (100 000 * 10%).

შედეგი:

საწარმოს 2018 წლის აგვისტოს საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარმოეშვება 2500 (12500-10000) ლარის დაბეგრის ვალდებულება.

ვ.გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება ან ფულადი სახსრების გადაცემა, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად არ დაიბეგრა გადახდის წყაროსთან; უსასყიდლო მიწოდებად ითვლება საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, რომლის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება; ამასთან, აღნიშნულში არ გაითვალისწინება:

- სახელმწიფოსათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;

- საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის უძრავი ქონების უსასყიდლოდ მიწოდება, თუ ამ ქონების მიმღები ორგანიზაცია ქველმოქმედებას ახორციელებს ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ან/და მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არანაკლებ ბოლო 3 კალენდარული წლის განმავლობაში;



- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 249-ე მუხლით გათვალისწინებული თავდებობის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თავდებობის, აგრეთვე სერვიტუტის მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა.

ვ.დ) ტურისტული საწარმოს მიერ ან/და მის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სასტუმროს ფუნქციონირებისთვის/ოპერირებისთვის მოწვეული პირის/პირების მიერ სასტუმრო ნომრის მესაკუთრისათვის კალენდარული წლის განმავლობაში 60 დღეზე მეტი ვადით სასტუმროს მომსახურების (სასტუმროში ცხოვრების) უსასყიდლოდ გაწევა.

ზ) მე-20 სტრიქონი - აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98⁴ მუხლით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი. წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობაა წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის 1 პროცენტი, ხოლო თუ გაწეული ხარჯი აღემატება მიღებულ შემოსავალს – გაწეული ხარჯის 1 პროცენტი. ამასთან, საწარმოს დაფუძნების კალენდარულ წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობაა მიმდინარე კალენდარული წლის დასრულებამდე გაწეული ხარჯის 1 პროცენტი.

მაგალითი 3.

ფაქტობრივი გარემოებები:

საწარმოს მიერ 2017 წელს მიღებული შემოსავალი შეადგენს 1 000 000 ლარს, ხოლო გაწეული ხარჯი 1 200 000 ლარს. 2018 წლის 5 იანვარს გაწეულმა წარმომადგენლობითმა ხარჯმა შეადგინა 5000 ლარი, ხოლო აგვისტოს თვეში – 6000ლარი, ნოემბერის თვეში კი – 4000 ლარი.

ანალიზი:

წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობაა წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის 1 პროცენტი, ხოლო თუ გაწეული ხარჯი აღემატება მიღებულ შემოსავალს – გაწეული ხარჯის 1 პროცენტი. მოცემულ მაგალითში 2017 წელს გაწეული ხარჯი აღემატება ამავე პერიოდის შემოსავალს, შესაბამისად, წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება გაწეული ხარჯის 1%-ით ($1\,200\,000 \cdot 1\%$) – 12 000 ლარი.

საწარმოს 2018 წლის იანვრისა ($5000 < 12\,000$) და აგვისტოს ($(5000 + 6000) < 12\,000$) თვეებში გაწეულმა წარმომადგენლობითმა ხარჯმა ჯამურად არ გადაარჭა ზღვრულ ოდენობას, ამდენად, შესაბამის საანგარიშო პერიოდებზე საწარმოს არ წარმოეშვება მოგების გასახადით დაბეგვრის ვალდებულება.



ნომბრის თვეში წარმომადგენლობითმა ჯამურმა ხარჯმა შეადგინა 15 000 (5000+6000+4000) ლარი, რაც აღემატება ზღვრულ ოდენობას. შესაბამისად, საწარმოს ნომბრის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარმოეშვება მოგების გადასახადით დაბეგვრის ვალდებულება ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯზე.

შედეგი:

საწარმოს 2018 წლის ნომბრის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარმოეშვება 3 000 (15 000-12 000) ლარის დაბეგვრის ვალდებულება.

მაგალითი 4.

ფაქტობრივი გარემოებები:

საწარმო დაფუძნდა 2018 წლის 3 თებერვალს. მის მიერ გაწეული ჯამური ხარჯი 2018 წლის აგვისტოს თვეში შეადგენს 100 000 ლარს, ამავე თვეში საწარმომ გასწია წარმომადგენლობითი ხარჯი 1 200 ლარის ოდენობით. საწარმომ 2018 წლის ოქტომბრის თვეში დამატებით გასწია 50 000 ლარის ხარჯი.

ანალიზი:

საწარმოს დაფუძნების კალენდარულ წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობაა მიმდინარე კალენდარული წლის დასრულებამდე გაწეული ხარჯის 1%.

ვინაიდან საწარმომ აგვისტოს თვეში არ იცოდა კალენდარული წლის ჭრილში მის მიერ გაწეული ხარჯის ოდენობა, მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს საანგარიშო პერიოდის მიხედვით გაწეულმა წარმომადგენლობითმა ხარჯმა გადააჭარბა ამავე პერიოდისთვის გაწეული ხარჯის 1%-ს, არ წარმოეშვება მოგების გადასახადით დაბეგვრის ვალდებულება.

რადგანაც 2018 წლის განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 150 000 (100 000+ 50 000) ლარი, ხოლო წარმომადგენლობითმა ხარჯმა – 1 200 ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობა კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება გაწეული ხარჯის 1%-ს. შესაბამისად, საწარმოს არ წარმოეშვება მოგების გადასახადით დაბეგვრის ვალდებულება.

შედეგი:

მოცემულ პირობებში საწარმოს არ წარმოეშვება მოგების გადასახადით დაბეგვრის ვალდებულება.



თ) 21-ე სტრიქონი - მიეთითება მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის თანხების ჯამი (სტ.21=სტ.16+სტ.17+სტ.18+სტ.19+სტ.20);

ი) 22-ე სტრიქონი - მიეთითება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლით გათვალისწინებული მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული მოგების განაწილება, გაწეული ხარჯი, განხორციელებული განაცემი;

კ) 23-ე სტრიქონი - მიეთითება მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა (სტ.23=(სტ.21-სტ.22)/0,85);

ლ) 24-ე სტრიქონი - აისახება მოგების გადასახადი (სტ.24= სტ.23*15%);

მ) 25-ე სტრიქონი - მიეთითება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 124-ე მუხლის მე-2-მე-3 ნაწილების და 309-ე მუხლის 92-93-ე ნაწილებით გათვალისწინებული ჩასათვლელი თანხების ჯამი;

ნ) 25.1 სტრიქონი - აისახება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ამავე დეკლარაციის დანართი №1-ით გაანგარიშებული თანხა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დეკლარაციის 16.1.1. სტრიქონში ასახული მონაცემის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხას. ამასთან, თუ დეკლარაციის დანართი №1-ის მე-6 სტრიქონში ასახული თანხა მეტია დეკლარაციის III ნაწილის 16.1.1 სტრიქონის მიხედვით გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხაზე, მაშინ 25.1 სტრიქონში აისახება სტრიქონი 16.1.1-ის მიხედვით გაანგარიშებული მოგების გადასახადის თანხა. თუ დეკლარაციის დანართი №1-ის მე-6 სტრიქონში ასახული თანხა ნაკლებია დეკლარაციის III ნაწილის 16.1.1 სტრიქონის მიხედვით გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხაზე, 25.1 სტრიქონში მიეთითება დეკლარაციის დანართი №1-ის მე-6 სტრიქონის მიხედვით გაანგარიშებული მოგების გადასახადის თანხა;

ო) 25.2 სტრიქონი - მიეთითება საქართველოს ფარგლების გარეთ გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, რომელიც გამოანგარიშებული იქნებოდა საქართველოში აღნიშნულ შემოსავალზე საქართველოში არსებული წესითა და განაკვეთებით. აღნიშნულ სტრიქონში ასახული თანხა არ უნდა აღემატებოდეს 16.1 სტრიქონში მითითებული მონაცემის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხასა და 25.1 სტრიქონში ასახულ მონაცემს შორის სხვაობით მიღებულ თანხას;

პ) 26-ე სტრიქონი - მიეთითება მოგების გადასახადის თანხა სტრიქონი 25-ში ასახული მონაცემის გამოკლებით, (სტ.26=სტ.24-სტ.25, ამასთან სტ.26≥0);



ჟ) 27-ე სტრიქონი - წარმოადგენს დეკლარაციის 18.1.1, 18.1.3, 18.1.4, 18.2, 18.3 სტრიქონების მიხედვით საანგარიშო პერიოდში და საანგარიშო პერიოდის წინა პერიოდებში დაბეგვრას დაქვემდებარებული (დაბეგრილი) დაბეგვრის ობიექტის მიხედვით საანგარიშო პერიოდში აღსადგენ მოგების გადასახადის თანხას, (სტ.27.1+სტ.27.2+სტ.27.3)/0,85*15%);

რ) 27.1 სტრიქონი - აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 982 მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული - შეძენილი სასესხო ფასიანი ქაღალდის, კაპიტალში მონაწილეობის უფლების (აქციის/წილის) ან მოთხოვნის მიწოდების შედეგად ანაზღაურების შემთხვევაში (თანხის ფაქტობრივად მიღების შემთხვევაში), საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებული თანხა;

ს) 27.2 სტრიქონი - აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის მე-8 ნაწილით განსაზღვრული - გაცემული სესხის/გადახდილი ავანსის თანხის დაბრუნების ან გადახდილი ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღების შემთხვევაში, სესხის/ავანსის თანხის დაბრუნების ან საქონლის/მომსახურების ფაქტობრივად მიღების საანგარიშო პერიოდში დაბრუნებული თანხა ან მიღებული საქონლის/მომსახურების საკომპენსაციო თანხა;

ტ) 27.3 სტრიქონი - აისახება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98² მუხლის მე-9 ნაწილით განსაზღვრული - სესხის დეპოზიტით უზრუნველყოფის გაუქმების შემთხვევაში, გაუქმების საანგარიშო პერიოდში სესხის ძირითადი თანხა;

უ) 28-ე სტრიქონი - აისახება კუთვნილი მოგების გადასახადი (სტ.28=სტ.26-სტ.27, როცა სტ.26>სტ.27);

ფ) 29-ე სტრიქონი - მიეთითება დაბრუნებას დაქვემდებარებული მოგების გადასახადი (სტ.29= სტ27- სტ.26, როცა სტ.27>სტ.26);

ქ) 30-ე სტრიქონი - აისახება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთი წლის ბოლოს. აღნიშნული სტრიქონი ივსება მიმდინარე კალენდარული წლის დეკემბრის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარსადგენ დეკლარაციაში და მიეთითება წლის ბოლოს არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთი.

ღ) 31-ე სტრიქონი - მიეთითება ძირითადი საშუალებების ნაშთი წლის ბოლოს. აღნიშნული სტრიქონი ივსება მიმდინარე კალენდარული წლის დეკემბრის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარსადგენ დეკლარაციაში და მიეთითება წლის ბოლოს არსებული ძირითადი საშუალებების ნაშთი.

6. დეკლარაციის დანართი ივსება სტრიქონების დასახელების შესაბამისად, კერძოდ:



ა) პირველ სტრიქონში მიეთითება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული წმინდა მოგებიდან საანგარიშო პერიოდში დივიდენდის სახით განაწილებული თანხის ოდენობა სრულად, მათ შორის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირზე (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა და ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისა) დივიდენდის განაწილება;

ბ) მე-2 სტრიქონში მიეთითება საანგარიშო პერიოდში დივიდენდის სახით განაწილებული თანხის ოდენობა, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას.

მაგალითი 5.

ფაქტობრივი გარემოებები:

პირმა დივიდენდის სახით გაანაწილა 50 000 ლარი, აქედან 20 000 ლარი გაანაწილა სააქციო საზოგადოებაზე.

ანალიზი:

ვინაიდან სააქციო საზოგადოება წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირს და ამასთან, სააქციო საზოგადოება არ არის მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირი, 20 000 ლარი არ ექვემდებარება ასახვას აღნიშნულ სტრიქონში.

შედეგი:

მოცემულ შემთხვევაში მე-2 სტრიქონში შეიტანება 30000 ლარი (50 000-20 000).

გ) მე-3 სტრიქონში მიეთითება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა;

დ) მე-4 სტრიქონში მიეთითება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ოდენობა ჯამურად (მათ შორის, უარყოფითი ფინანსური შედეგის (ზარალი) გათვალისწინებით);

ე) მე-5 სტრიქონში მიეთითება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდის სანაცვლოდ საწარმოს მიერ პარტნიორისათვის გადაცემული ამ საწარმოს აქციების/წილის ღირებულება;

ვ) მე-6 სტრიქონში მიეთითება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 93-ე ნაწილის მიხედვით ჩასათვლელი თანხა, რომელიც წარმოადგენს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას ამავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხას. აღნიშნული თანხის ოდენობა იანგარიშება მე-2 და მე-3 სტრიქონების ნამრავლის გაყოფით მე-4 და მე-5 სტრიქონების სხვაობაზე (სტ.2*სტ.3/(სტ.4-სტ.5)).“.

4. 41-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 41. მოგების გადასახადის დეკლარაციის (დანართი №II-09) შევსება**“.

5. 112-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-20 პუნქტი:

20. 2019 წლის 1 იანვრამდე კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი, სადაზღვევო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ლომბარდი მოგების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოში საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარადგენს №II-09 დანართის მიხედვით.“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი





განმარტებითი ბარათი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტზე

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში.

წარმოდგენილი ცვლილების შეტანა განპირობებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსში „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2016 წლის 13 მაისის №5092-III საქართველოს კანონით განხორციელებული ცვლილებით. კერძოდ, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2016 წლის 13 მაისის №5092-III საქართველოს კანონით მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი შეიცვალა რიგ გადასახადის გადამხდელთა მიმართ.

ზემოაღნიშნული ცვლილებით ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 96-ე-98-ე მუხლები, რამაც დღის წესრიგში დააყენა მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის ფორმისა და მისი შევსების წესის შემუშავების საკითხი.

ზემოხსენებული კანონით გათვალისწინებული ცვლილების ამოქმედების შემდეგ, სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რეზიდენტი საწარმოს (გარდა ამ მუხლის მე-2, მე-8 და მე-9 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი იქნება:

- ა) განაწილებული მოგება;
- ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
- გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- დ) ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, არარეზიდენტი საწარმოს, რომელიც საქართველოში საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი იქნება მისი მუდმივი დაწესებულების საქმიანობიდან გამომდინარე, ამ არარეზიდენტი საწარმოს ან მუდმივი დაწესებულების მიერ განხორციელებული განაცემი/გაწეული ხარჯი, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლის პირველი ნაწილით.



ამასთან, ამავე კანონით, სსკ-ის 153-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, საწარმო და არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულება (საწარმოები, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) ვალდებული არიან, ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ დეკლარაცია მოგების გადასახადის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამგვარი შემთხვევებისათვის შემუშავებულ იქნა მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის ფორმა (დანართი №II-08^ა), ხოლო ყველა სხვა შემთხვევისათვის ძალაში რჩება დღეს მოქმედი მოგების გადასახადი დეკლარაცია (დანართი №II-09) და მისი შევსების წესი (მუხლი 41).

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, გასათვალისწინებელია, რომ „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2016 წლის 13 მაისის №5092 -III საქართველოს კანონის შესაბამისად, ცვლილება შევიდა ასევე სსკ-ის 309-ე მუხლში, რომელსაც დაემატა 94-ე-95-ე ნაწილები, რომელთა შესაბამისადაც, კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი, სადაზღვევო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ლომბარდი მოგების გადასახადით ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით იბეგრებიან 2019 წლის 1 იანვრიდან.

ხოლო 2019 წლის 1 იანვრამდე კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის ასევე „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 112-ე მუხლში (გარდამავალი დებულებები), რომელსაც ემატება მე-20 პუნქტი და განისაზღვრება, რომ 2019 წლის 1 იანვრამდე კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი, სადაზღვევო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ლომბარდი მოგების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოში საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარადგენს №II-09 დანართის მიხედვით.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2016 წლის 13 მაისის №5092-III საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცვლილება, ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში, ამოქმედდება 2017 წლის 1 იანვრიდან, წარმოდგენილი „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტის ამოქმედების თარიღად ასევე განსაზღვრულია 2017 წლის 1 იანვარი.



| მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია | | | | | | | | | | | | |
|---|--|--|--|----------|--|--|-------------|--|---|------|--|--|
| ნაწილი I | | | | | | | | | | | | |
| 1 | გადამხდელი | | | | | | | | | | | |
| | | დასახელება | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | |
| 2 | გან | | | | | | | | | | | |
| 3 | დეკლარაციის სახე: პირველადი | | | | | | შესწორებული | | 4 | წელი | | |
| | | | | | | | | | 5 | თვე | | |
| 6 | საწარმოს სტატუსი | 1 | რეზიდენტი საწარმო | | | | | | | | | |
| | | 2 | არარეზიდენტი საწარმოს ბუღალტერი დაწესებულება | | | | | | | | | |
| (მისამართი თანა აღნიშნეთ „V“ ნიშნით) | | | | | | | | | | | | |
| 7 | მისამართი | | | | | | | | | | | |
| 8 | საქმიანობის სახე | ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი სრულად | | | | | | | | | | |
| 9 | ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების თარიღი | | | | | | | | | | | |
| 10 | რეორგანიზაციის თარიღი | | | | | | | | | | | |
| ნაწილი II | | | | | | | | | | | | |
| (ოთხმა სათაოსიანთა ორგანოს მიერ) | | | | | | | | | | | | |
| 11 | საგადასახადო ორგანოს დასახელება | | | | | | | | | | | |
| 12 | დეკლარაციის მიღების თარიღი | | | | | | | | | | | |
| 13 | თანდართული დოკუმენტი | | | ფურცელზე | | | | | | | | |
| 14 | რეგისტრაციის ნომერი | | | | | | | | | | | |
| 15 | დეკლარაციის მიმღების გვარი, სახელი | | | | | | | | | | | |
| დეკლარაციის მიმღების ხელმოწერა | | | | | | | | | | | | |
| შენიშვნა: | | | | | | | | | | | | |
| 1. მოგების გადასახადის გადამხდელის მიერ დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება: | | | | | | | | | | | | |
| ა) საანგარიშო თვის შედეგების მიხედვით - არაუგვიანეს საანგარიშო თვის მიმდევრო თვის 15 რიცხვისა; | | | | | | | | | | | | |
| ბ) ლიკვიდაციის შემთხვევაში, სალიკვიდაციო კომისიის მიერ - ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში. | | | | | | | | | | | | |
| 2. მე-8 სტრიქონში მიეთითება იმ საქმიანობების კოდები, რომლიდანაც მიღებული შემოსავალი შეადგენს შემოსავლის 10%-სა და მეტს; | | | | | | | | | | | | |
| 3. ნაწილი II ივსება დეკლარაციის ქვალდის ფორმით წარმოდგენის შემთხვევაში. | | | | | | | | | | | | |



| III ნაწილი | | | თავა |
|--|--|--|------|
| მოგების გადასახადის განჯარიშება (ღარი) | | | |
| განაწილებული მოგება | | | |
| 16.1 | განაწილებული დივიდენდი, მათ შორის: | | |
| 16.1.1 | 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე სამჯარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან განაწილებული დივიდენდი | | |
| 16.2 | არარეზიდენტი საქართველოს მთელი ტერიტორიაზე მოქმედებულ მოგების გადასახადის განჯარიშების განკარგულება | | |
| 16.3 | უპირდაპირად მიღებულ მოგებთან (რომელიც მოგების გადასახადით არ იხვევრება სავადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დახვევების ობიექტების მიხედვით) გამოირჩევილებული ობიექტების ფარგლებში გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის სხვაობის თანხა, როდესაც მათი უპირდაპირად მიღებულ გადასახადებს შედგენს ახდენს გარიგების შედეგზე, მათ შორის: | | |
| 16.3.1 | გარიგების საბაზრო ფასსა და მიღებულ/მოსაღებ შემოსავლის შორის სხვაობა, თუ გარიგების საბაზრო ფასი აღემატება მიღებულ/მოსაღებ შემოსავალს | | |
| 16.3.2 | გარიგების შედეგად განწეულ ხარჯსა და გარიგების საბაზრო ფასს შორის სხვაობა, თუ გარიგების შედეგად განწეული ხარჯი აღემატება გარიგების საბაზრო ფასს | | |
| 16.4 | სამომავლო გადასახადისგან მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირთან (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) განხორციელებული ობიექტების ფარგლებში გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის სხვაობის თანხა, მათ შორის: | | |
| 16.4.1 | გარიგების საბაზრო ფასსა და მიღებულ/მოსაღებ შემოსავლის შორის სხვაობა, თუ გარიგების საბაზრო ფასი აღემატება მიღებულ/მოსაღებ შემოსავალს | | |
| 16.4.2 | გარიგების შედეგად განწეულ ხარჯსა და გარიგების საბაზრო ფასს შორის სხვაობა, თუ გარიგების შედეგად განწეული ხარჯი აღემატება გარიგების საბაზრო ფასს | | |
| 16.5 | გამორჩევილებული კონტროლირებული ობიექტების კორექტირების თანხა, თუ ამ ობიექტის დადგენილი პირობები არ შესაბამისა საბაზრო პრინციპს | | |
| 17 | ხარჯი, რომელიც საქართველოს სავადასახადო კოდექსის 98² მუხლის მიხედვით არ მოქმედებს ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულს, მათ შორის: | | |
| 17.1 | დეკლარაციად დაუდასტურებელი ხარჯი | | |
| 17.2 | ხარჯი, რომლის განკვეთს მუხანი არ არის მოგების შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება | | |
| 17.3 | სხვა ხარჯი | | |
| 18 | გდახდებულ, რომელიც საქართველოს სავადასახადო კოდექსის 98² მუხლის მიხედვით არ მოქმედებს ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულს, მათ შორის: | | |
| 18.1 | შედეგითაინი დახვევების მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული ან/და საქართველოს სავადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული: | | |
| 18.1.1 | პირისათვის (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) განხორციელებული გადახდა, რომელიც ეკავშირდება მათ მიერ გამოშვებული საგნები ფისთან ქადადის შეტენს | | |
| 18.1.2 | პირისათვის (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) გადახდილი, სახელმწიფოებში უპირდაპირადი წარმოშობილი პირგასამტეხლო ან/და სხვა ჯარიმ | | |
| 18.1.3 | პირისათვის (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა) გადახდილი ჯარიმ | | |
| 18.1.4 | პირისათვის სესხის ფაგმა ან/და ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნის შესატენად გამორჩევილებული გადახდა | | |
| 18.1.5 | პირისათვის მოთხოვნის უფლებების გადაცემით ან მოთხოვნის უფლებებზე უარის თქმით წარმოშობილი ზარილი | | |
| 18.2 | არარეზიდენტის ან/და საქართველოს სავადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული პირის კაბიტალში შეტენის ან აქციის/წილის შესატენად განხორციელებული გადახდა | | |
| 18.3 | ფიზიკური პირისათვის ან არარეზიდენტისათვის სესხის ფაგმა ან/და რომელიმე ამ პირის მიერ შესატენ პირისაგან აღებული სესხის დეპოზიტით უზრუნველყოფა, როდესაც მოგების გადასახადით დახვევების ობიექტის თანხის ოდენობა შედგენს აღებული სესხის თანხას | | |
| 18.4 | | | |
| 19 | საქონლის მიმასხურების უსატეხილი მიწიყენასატეხა, ფულადი სახსრების გადაცემა, მათ შორის: | | |
| 19.1 | საატეხილი-სატეხილი ფაგეულობის ან/და ძირითადი საშუალების დაწელების | | |



| | | | |
|---|--|--|--|
| 20 | წარმომადგენლობითი ხარვეზი, რომელიც აღემატება სსკ-ით განსაზღვრულ ზღვრულ ოდენობას | | |
| 21 | სულ დაბეგრის ობიექტის თანხა | | |
| 22 | მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული მოგების განაწილება, გარეული ხარჯი, განიორცდებული განაცემი | | |
| 23 | მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა ((სტ.21-სტ.27)/0,85) | | |
| 24 | მოგების გადასახადი (სტ.23*15%) | | |
| გადახდილი მოგების გადასახადი, რომელიც ექვემდებარება ჩათვლას, მათ შორის: | | | |
| 25 | 25.1 | 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას ასევე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა (დანართის სტ. 5), მხგრამ პროცენტს 16.1.1 სტრუქტურით ასახული მონაცემის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხა | |
| | 25.2 | უცხოეთში გადახდილი გადასახადის ჩასათვლელი თანხა - წყაროსთან დაკავშირებული ან გადახდილი გადასახადის თანხა, რომელიც გამოანგარიშებული იქნებოდა საქართველოში აღწერილ შემოსავალზე და რომელიც არ აღემატება 16.1 სტრუქტურით განაგარიშებულ მოგების გადასახადის თანხასა და 25.1 სტრუქტურით ასახულ მონაცემებს შორის სხვაობით მიღებულ თანხას. | |
| 26 | მოგების გადასახადი სტ.25-ის გათვალისწინებით | | |
| შესაწყობებული (დასაბრუნებელი) მოგების გადასახადი ((სტ. 27.1-სტ.27.2+სტ.27.3)/0,85*15%) | | | |
| 27 | 27.1 | შეტრილი სასესიო ფასიანი ქაღალდის, ვაიკალში მონაწილეობის უფლების (აქციის წილის) ან მოთხოვნის მიწოდების შედეგად საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებული თანხა (უაქციობრივად მიღებული თანხა) | |
| | 27.2 | გაღებული სესხის გადახდის აქნის დაბრუნებული თანხა ან გადახდილი აქნის სანაველოდ მიღებული საქონლის/მომსახურების საკომპენსაციო თანხა საანგარიშო პერიოდში | |
| | 27.3 | სესხის დემონიტით უზრუნველყოფის გაუქმებისას გაუქმების საანგარიშო პერიოდში სესხის ძირითადი თანხა | |
| 28 | კუთვნილი მოგების გადასახადი | | |
| 29 | დამბრუნების დაქვემდებარებული მოგების გადასახადი | | |
| 30 | სასაქონლო-მატერიალური ფაქტულობის წილი წლის ბოლოს | | |
| 31 | ძირითადი საშუალებების წილი წლის ბოლოს | | |

დანართი I

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას ასევე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, რომელიც ექვემდებარება ჩათვლას

| N | შინაარსი | ღარი |
|---|---|------|
| 1 | საანგარიშო პერიოდში დივიდენდის სახით განაწილებული თანხის ოდენობა (დარიცხული) სულ | |
| 2 | საანგარიშო პერიოდში დივიდენდის სახით განაწილებული თანხის ოდენობა, რომელიც ექვემდებარება დაბეგრის (III ნაწილის სტ. 16.1.1) | |
| 3 | 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა | |
| 4 | 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ოდენობა | |
| 5 | 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდის სანაველოდ საწარმოს მიერ პარტნიორისათვის გადაცემული ან საწარმოს აქციების წილის დირფულება | |
| 6 | ჩასათვლელი თანხა (სტ. 2*სტ.3/(სტ.4+სტ.5)) | |

**საქართველოს მთავრობის****დადგენილება №507**

2016 წლის 14 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №420 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №420 დადგენილებაში (სსმ, №172, 31/12/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მისაღებად წარსადგენი განაცხადის ფორმა (დანართი №6).“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის“ (დანართი №1):

ა) პირველი მუხლის:**ა.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. საქონლის წარმოშობის დასადასტურებლად საგადასახადო ორგანოს წარედგინება საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი ან „წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილება“ ან „ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის“ ასოცირების შესახებ 2014 წლის 27 ივნისის შეთანხმების I ოქმით გათვალისწინებული წარმოშობის დეკლარაცია ან „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2007 წლის 21 ნოემბრის შეთანხმების II ოქმით გათვალისწინებული ანგარიშგაქტურის (ინვოისის) დეკლარაცია ან ხორციელდება საქონლის წარმოშობის დეკლარირება.“;



ა.ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქონლის წარმოშობა შეიძლება იყოს შეღავათიანი (პრეფერენციული) ან შეღავათების გარეშე (არაპრეფერენციული). აღნიშნულის გათვალისწინებით:

ა) საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი შეიძლება იყოს პრეფერენციული ან არაპრეფერენციული;

ბ) საქონლის წარმოშობის დეკლარირება ან „წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილებების“ წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ არაპრეფერენციული მიზნებისათვის;

გ) „ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის“ ასოცირების შესახებ 2014 წლის 27 ივნისის შეთანხმების I ოქმით გათვალისწინებული წარმოშობის დეკლარაციისა და „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2007 წლის 21 ნოემბრის შეთანხმების II ოქმით გათვალისწინებული ანგარიშგაქტურის (ინვოისის) დეკლარაციის შედგენა ხორციელდება პრეფერენციული მიზნებისათვის.“;

ბ) მე-16 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-17 - მე-19 მუხლები:

„მუხლი 17. წარმოშობის დეკლარაცია

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას, თუ ამ საქონელს არ ახლავს წარმოშობის სერტიფიკატი, საქონლის წარმოშობის დადგენა შესაძლებელია „ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის“ ასოცირების შესახებ 2014 წლის 27 ივნისის შეთანხმების I ოქმით გათვალისწინებული წარმოშობის დეკლარაციით (შემდგომში – წარმოშობის დეკლარაცია) ან „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2007 წლის 21 ნოემბრის შეთანხმების II ოქმით გათვალისწინებული ანგარიშგაქტურის (ინვოისის) დეკლარაციით (შემდგომში ასევე – წარმოშობის დეკლარაცია).

2. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ექსპორტირებულ საქონელზე წარმოშობის დეკლარაციის შედგენის უფლება აქვს:

ა) პირს, რომელსაც შემოსავლების სამსახურის მიერ მინიჭებული აქვს წარმოშობის დეკლარაციის შედგენაზე უფლებამოსილი ექსპორტიორის (შემდგომში – უფლებამოსილი ექსპორტიორი) სტატუსი – ნებისმიერი ღირებულების იმ საქონელზე, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის პრეფერენციული წარმოშობის წესებს და მითითებულია უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მინიჭების შესახებ შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებაში;



ბ) ნებისმიერ ექსპორტიორს - საქონელზე, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონლის პრეფერენციული წარმოშობის წესებს და რომლის ღირებულება არ აღემატება 6000 ევროს.

3. წარმოშობის დეკლარაციის მიზნებისათვის, საქონლის პრეფერენციული წარმოშობა გულისხმობს, რომ საქონელი აკმაყოფილებს „ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის“ ასოცირების შესახებ 2014 წლის 27 ივნისის შეთანხმებით ან „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2007 წლის 21 ნოემბრის შეთანხმებით გათვალისწინებულ საქონლის წარმოშობის კრიტერიუმებს.

მუხლი 18. წარმოშობის დეკლარაციის შედგენა

1. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის ექსპორტის შემთხვევაში, წარმოშობის დეკლარაციის შედგენა ხორციელდება საქონლის ნასყიდობის დოკუმენტზე (მათ შორის, ანგარიშფაქტურაზე) ან მიწოდების შეტყობინებაზე (თუ მათში აღწერილი მონაცემები იძლევა საქონლის იდენტიფიკაციის საშუალებას) შესაბამისი ტექსტის დატანით, რომელიც განსაზღვრულია „ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის“ ასოცირების შესახებ 2014 წლის 27 ივნისის შეთანხმების I ოქმის მე-4 დანართითა და „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2007 წლის 21 ნოემბრის შეთანხმების II ოქმის მე-4 დანართით.

2. წარმოშობის დეკლარაციის ტექსტი დაიტანება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი შეთანხმების ერთ-ერთ ენაზე.

3. უფლებამოსილმა ექსპორტიორმა წარმოშობის დეკლარაციაში უნდა მიუთითოს შემოსავლების სამსახურის მიერ მისთვის მინიჭებული ავტორიზაციის ნომერი.

4. წარმოშობის დეკლარაცია დამოწმებული უნდა იყოს ექსპორტიორის ხელმოწერით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარმოშობის დეკლარაცია შედგენილია უფლებამოსილი ექსპორტიორის მიერ და მას შემოსავლების სამსახურში წარდგენილი განაცხადით აღებული აქვს პასუხისმგებლობა, რომ მის მიერ წარდგენილი ნებისმიერი წარმოშობის დეკლარაცია განიხილება როგორც ხელმოწერილი მის მიერ.

5. თუ ნასყიდობის დოკუმენტი (მათ შორის, ანგარიშფაქტურა) ან მიწოდების შეტყობინება, რომელზეც ხორციელდება წარმოშობის დეკლარაციის შედგენა, მოიცავს პრეფერენციული და არაპრეფერენციული წარმოშობის საქონელს, მასში მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია, რომელიც იძლევა პრეფერენციული საქონლის იდენტიფიცირების საშუალებას.



მუხლი 19. უფლებამოსილი ექსპორტიორი

1. უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მისაღებად პირი მიმართავს შემოსავლების სამსახურს ამ წესის დანართ №6-ით გათვალისწინებული „უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მისაღებად წარსადგენი განაცხადით“ (შემდგომში – ექსპორტიორის განაცხადი).

2. უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მისაღებად პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) რეგისტრაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში;

ბ) ექსპორტიორის განაცხადის შემოსავლების სამსახურში წარდგენისას:

ბ.ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-5, მე-11, მე-19, 21-ე და 24-ე ნაწილებით გათვალისწინებული:

ბ.ა.ა) პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა, ან

ბ.ა.ბ) სამართალდარღვევის გამოვლენიდან უწყვეტი 12 თვის გასვლა;

ბ.ბ) აღიარებული საგადასახადო დავალიანების არქონა (გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს აღნიშნული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება ან „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება);

ბ.გ) ბოლო უწყვეტი 12 თვის განმავლობაში საქართველოდან პრეფერენციული წარმოშობის საქონლის ექსპორტის განხორციელება არანაკლებ 6-ჯერ და არანაკლებ 100 000 ლარის საერთო ღირებულებით;

გ) საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საგადასახადო ორგანოს/დავის განმხილველი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილება გადასახადის გადამხდელის სანქციისაგან გათავისუფლების თაობაზე.

4. ექსპორტიორის განაცხადს თან უნდა ერთოდეს:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;



ბ) დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება ექსპორტის სასაქონლო ოპერაციით გასატანი, ექსპორტიორის განაცხადში მითითებული საქონლის შესაბამისობა შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებით გათვალისწინებული პრეფერენციული წარმოშობის წესებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან.

5. შემოსავლების სამსახური ექსპორტიორის განაცხადის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია აღნიშნული ვადის არა უმეტეს 30 კალენდარული დღით გაგრძელება.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე შემოსავლების სამსახური ახორციელებს კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლას, საჭიროების შემთხვევაში - ასევე მისი საქმიანობის შემოწმებას.

7. შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით, პირს უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსთან ერთად ენიჭება ავტორიზაციის ნომერი.

8. უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მინიჭების შესახებ შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებაში მიეთითება იმ საქონლის დასახელება და სეს ესნ კოდი, რომელზეც უფლებამოსილ ექსპორტიორს შეუძლია წარმოშობის დეკლარაციის შედგენა.

9. უფლებამოსილი ექსპორტიორის სახელით წარმოშობის დეკლარაციის შედგენისა და ხელმოწერის უფლება აქვს მხოლოდ ექსპორტიორის განაცხადში მითითებულ, წარმოშობის დეკლარაციის შედგენაზე პასუხისმგებელ პირს.

10. იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილ ექსპორტიორს სურს, განახორციელოს წარმოშობის დეკლარაციის შედგენა უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მინიჭების შესახებ შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებაში მითითებული საქონლისგან განსხვავებულ საქონელზე, იგი ხელახლა მიმართავს შემოსავლების სამსახურს ექსპორტიორის განაცხადით, რომლის პირველ გრაფაში დამატებით მიეთითება მისი ავტორიზაციის ნომერი, ხოლო განაცხადთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უფლებამოსილი ექსპორტიორის განაცხადს შემოსავლების სამსახური განიხილავს ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში ხორციელდება შესაბამისი ცვლილება უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მინიჭების შესახებ შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებაში.



12. უფლებამოსილი ექსპორტიორი ვალდებულია:

ა) წარმოშობის დეკლარაცია შეადგინოს მხოლოდ პრეფერენციული წარმოშობის საქონელზე;

ბ) შემოსავლების სამსახურის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას ექსპორტიორის განაცხადში ან/და მის მიერ შედგენილ წარმოშობის დეკლარაციაში მითითებულ საქონელთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია/ინფორმაცია;

გ) უზრუნველყოს მის მიერ შედგენილი წარმოშობის დეკლარაციების და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით შენახვა;

დ) საქონელთან დაკავშირებული, ექსპორტიორის განაცხადში ან/და თანდართულ დოკუმენტაციაში მითითებული მონაცემების ცვლილების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს შემოსავლების სამსახურს არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

13. უფლებამოსილი ექსპორტიორის კონტროლი/შემოწმება ხორციელდება:

ა) უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მინიჭებიდან ყოველი 12 თვის შემდეგ – ამ წესით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების მდგომარეობის შესწავლის მიზნით;

ბ) ნებისმიერ დროს მიღებული/დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე;

გ) იმპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე.

14. უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს:

ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტით („ბ.ა“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა) განსაზღვრული პირობების დაუკმაყოფილებლობა;

ბ) იმპორტის გადასახდელების ოდენობის 1000 ლარზე მეტით შემცირებისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილება, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გასაჩივრებული არ ყოფილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან არსებობს გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) 4000 ლარზე მეტი საბაჟო ღირებულების საქონლის საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად გადაადგილებისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-11 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილება, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გასაჩივრებული არ ყოფილა ან არსებობს გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;



დ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-19 ნაწილით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილება, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გასაჩივრებული არ ყოფილა ან არსებობს გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

ე) საბაჟო ღირებულების 4000 ლარზე მეტით გაზრდის ან შემცირებისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის 21-ე ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილება, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში გასაჩივრებული არ ყოფილა ან არსებობს გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

ვ) ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა;

ზ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საფუძველზე პირის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

თ) ექსპორტისას კონტრაფაქციული საქონლის პარტიის გამოვლენა;

ი) უფლებამოსილი ექსპორტიორის წერილობითი განცხადება მისთვის მინიჭებული უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის გაუქმების თაობაზე.

15. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილი ექსპორტიორს საგადასახადო ორგანოს წერილობითი შეტყობინებით ეძლევა 45 კალენდარული დღის ვადა საგადასახადო დავალიანების დასაფარად. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ამ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების შესახებ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება ან „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება), მიიღება გადაწყვეტილება უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის გაუქმების შესახებ.

16. ამ მუხლის მე-14 პუნქტის „ბ - ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსი არ უქმდება, თუ არსებობს საგადასახადო ორგანოს/დავის განმხილველი ორგანოს (გარდა სასამართლოს) გადაწყვეტილება გადასახადის გადამხდელის შესაბამისი სანქციისაგან გათავისუფლების თაობაზე.

17. უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის გაუქმება ხორციელდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების გამოცემით.



18. უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის გაუქმების შესახებ შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების გამოცემიდან 3 თვის განმავლობაში, სტატუსგაუქმებული ექსპორტიორის განაცხადი უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მისაღებად არ განიხილება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის გაუქმების საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის შესაბამისი ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება და არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება გადასახადის გადამხდელის აღნიშნული პასუხისმგებლობისაგან/საგადასახადო სანქციისაგან გათავისუფლების თაობაზე ან საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება გადასახადის გადამხდელის საგადასახადო სანქციისაგან გათავისუფლების თაობაზე.“.

3. დადგენილებას დაემატოს დანართი №6 თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-3 დღეს.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

დანართი №6

უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მისაღებად წარსადგენი განაცხადი

| | |
|--|--|
| <p>1. ექსპორტიორი</p> <p>(სახელი გვარი/სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, ფაქტობრივი/იურიდიული მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის/ფაქსის ნომერი, ელ-ფოსტა, ვებგვერდის მისამართი)</p> | |
| <p>2. წარმოშობის დეკლარაციის შედგენაზე პასუხისმგებელი პირი/პირები</p> <p>(სახელი გვარი, პირადი ნომერი, სამსახურებრივი პოზიცია, მისამართი, ტელეფონის/ფაქსის ნომერი, ელ-ფოსტის მისამართი)</p> | |



| 3. საქონელი, რომლის ექსპორტიც განხორციელდება | | | | | | |
|--|-------------------------------|-----------------|-------------------------------|------------------------|---------------------------|-----|
| საქონლის შესაბამისი დასახელება სეს ესნ-ის მიხედვით | სეს ესნ კოდი (4-ნიშნა დონეზე) | საქონლის აღწერა | დანიშნულების ქვეყანა/ქვეყნები | წარმოშობის კრიტერიუმი* | საქონლის მწარმოებელი პირი | |
| | | | | | დასახელება | ს/ნ |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

4. საქონლის მწარმოებლის/მწარმოებლების (წარმოების) ფაქტობრივი მისამართი

| | |
|--|------|
| 5. გსურთ, წარმოშობის დეკლარაციის ხელმოწერის ვალდებულებისაგან გათავისუფლება? " | დიახ |
| | არა |

6. წინამდებარე განაცხადზე თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი:

7. ვაცხადებ, რომ:

- ვარ უფლებამოსილი, ხელი მოვაწერო წინამდებარე განაცხადს და ვადასტურებ, რომ აქ მოცემული ინფორმაცია ზუსტი და სრულყოფილია და მასში არ არის წინასწარგანზრახვით გამოტოვებული მონაცემები, რასაც გავგენა ექნებოდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე.
- სსიპ – შემოსავლების სამსახურს მივაწვდი ინფორმაციას მე-3 გრაფაში მითითებულ საქონელთან დაკავშირებული მონაცემების (მათ შორის, თანდართულ დოკუმენტაციაში მითითებული მონაცემების/ინფორმაციის) ცვლილების შესახებ.
- ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას წინამდებარე განაცხადში მითითებულ საქონელზე შედგენილი წარმოშობის დეკლარაციების სისწორეზე და კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

წარმოშობის დეკლარაციის შედგენაზე პასუხისმგებელი პირი/პირების ხელმოწერა

ექსპორტიორის/წარმომადგენლის ხელმოწერა

ბეჭედი (არსებობის შემთხვევაში)

* მიეთითება „ერთი მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის“ ასოცირების შესახებ 2014 წლის 27 ივნისის შეთანხმებით ან „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2007 წლის 21 ნოემბრის შეთანხმებით გათვალისწინებული წარმოშობის სტატუსის მისაღებად წარმოშობის არმქონე მასალებზე განსახორციელებელი საჭირო სამუშაოები და გადამამუშავებელი პროცესები.

“ წარმოშობის დეკლარაციის ხელმოწერის ვალდებულებისაგან გათავისუფლების შემთხვევაში კისრულობთ სრულ პასუხისმგებლობას ნებისმიერ იმ წარმოშობის დეკლარაციაზე, რომელზეც მითითებულია ავტორიზაციის ნომერი და განიხილება, როგორც ხელმოწერილი თქვენ მიერ.



საქართველოს მთავრობის

დადგენილება №508

2016 წლის 17 ნოემბერი, ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტი – ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი – ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ.

მუხლი 2

სურსათი, რომელიც ბაზარზე განთავსებულია ან ეტიკეტირებულია ამ დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ“ ამოქმედებამდე და არ შეესაბამება ამ დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, დასაშვებია ბაზარზე განთავსებულ იქნეს სურსათის ვარგისიანობის ვადის გასვლამდე, მაგრამ არაუმეტეს 2018 წლის 31 დეკემბრისა.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვიციანი

ტექნიკური რეგლამენტი – ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ

მუხლი 1. მიზანი და რეგულირების სფერო

1. ტექნიკური რეგლამენტი – ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების სურსათში დამატების შესახებ (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) მიზნად ისახავს სურსათში ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების დამატებისას მომხმარებელთა უფლებების დაცვას და შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფას.



2. ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება:

ა) განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების სურსათსა (რომლისთვისაც არ არის დადგენილი სპეციალური ნორმები) და მის შემადგენლობაზე, რომელიც განპირობებულია იმ მომხმარებელთა კვებითი მოთხოვნების თავისებურებებით, ვისთვისაც განკუთვნილია ეს სურსათი;

ბ) ახალი სახეობის სურსათსა და ახალი სახეობის სასურსათო ინგრედიენტებზე;

გ) გენეტიკურად მოდიფიცირებულ სურსათზე;

დ) საკვებდანამატებსა და არომატიზატორებზე;

ე) ავტორიზებულ (დაშვებულ) ენოლოგიურ პრაქტიკასა და პროცესებზე.

3. ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება სასურსათო (სურსათის) დანამატებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სასურსათო (სურსათის) დანამატი – კვებითი ან ფიზიოლოგიური ეფექტის მქონე ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება ჩვეულებრივ დიეტურ კვებაში, როგორც საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტები) ან სხვა ნივთიერებების წყარო ცალ-ცალკე ან კომბინაციაში, ბაზარზე განთავსებულია წამლის ფორმით კაფსულების, აბების, ამპულების, ფხვნილების, დრაჟების, ბოთლებში სითხის ან დაფასოებული ფხვნილის და სხვა ანალოგიური სახით და რომელთა გამოყენება ხდება განსაზღვრული მცირე რაოდენობით;

ბ) სხვა ნივთიერება – ვიტამინის ან მინერალისაგან განსხვავებული ნივთიერება, რომელსაც კვებითი ან ფიზიოლოგიური დანიშნულება აქვს;

გ) განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების სურსათი – სურსათი, რომელიც განსაკუთრებული შედგენილობის ან წარმოება-დამზადების პროცესის გამო მკვეთრად განსხვავდება ნორმალური გამოყენებისათვის განკუთვნილი სურსათისაგან, შეესაბამება დეკლარირებული კვებითი მიზნებისათვის გამოყენებას და ამის შესახებ მითითებული უნდა იქნეს ბაზარზე განთავსებისას;

დ) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადი – ნებისმიერი განაცხადი, რომელიც გულისხმობს ან აცხადებს ან გამოხატავს, რომ არსებობს კავშირი სურსათის კატეგორიას ან სურსათს ან სურსათის შემადგენელ რომელიმე კომპონენტსა და ადამიანის ჯანმრთელობას შორის;



ე) კვებით ღირებულებასთან დაკავშირებული განაცხადი – ნებისმიერი განაცხადი, რომელიც გულისხმობს ან გამოხატავს ან აცხადებს, რომ სურსათს აქვს განსაკუთრებული სასარგებლო კვებითი ღირებულება, რომელიც დაკავშირებულია სურსათის მახასიათებლებთან:

ე.ა) კალორიულობასთან ანუ ენერგეტიკულ ღირებულებასთან, რომლის შესაბამისად სურსათი შეიძლება იყოს:

ე.ა.ა) კალორიული;

ე.ა.ბ) მაღალკალორიული ან დაბალკალორიული;

ე.ა.გ) არაკალორიული;

ე.ბ) საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) და სხვა ნივთიერებების შემცველობასთან შესაბამისად სურსათი შეიძლება:

ე.ბ.ა) შეიცავდეს საკვებ ნივთიერებებს (ნუტრიენტებს) და სხვა ნივთიერებებს;

ე.ბ.ბ) შეიცავდეს საკვებ ნივთიერებებს (ნუტრიენტებს) და სხვა ნივთიერებებს დიდი რაოდენობით ან მცირე რაოდენობით;

ე.ბ.გ) არ შეიცავდეს საკვებ ნივთიერებებს (ნუტრიენტებს) და სხვა ნივთიერებებს.

2. ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული ტერმინები.

მუხლი 3. მოთხოვნები ვიტამინებისა და მინერალების დამატების მიმართ

1. ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით სურსათში შესაძლებელია დამატებულ იქნეს მხოლოდ ამ ტექნიკური რეგლამენტის №1 დანართით – „ვიტამინები და მინერალები, რომლებიც შესაძლებელია დამატებული იქნას სურსათში“ განსაზღვრული ვიტამინები ან/და მინერალები, ამ ტექნიკური რეგლამენტის №2 დანართით განსაზღვრული „ვიტამინების ფორმები და მინერალური ნივთიერებები, რომლებიც შესაძლებელია დამატებულ იქნეს სურსათში“ ფორმების სახით.

2. ვიტამინები და მინერალები სურსათში შესაძლებელია დამატებულ იქნეს ადამიანის ორგანიზმისათვის ბიოთავსებადი ფორმით, მიუხედავად იმისა, შეიცავს თუ არა ჩვეულებრივ ეს სურსათი ამ ვიტამინებსა და მინერალებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთის გათვალისწინებით:

ა) მოსახლეობაში ან მოსახლეობის კონკრეტულ ჯგუფებში ერთი ან რამდენიმე ვიტამინის და/ან მინერალის დეფიციტი ან საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) მიღების დაბალი დონე დადასტურებულია კლინიკური ან სუბკლინიკური კვლევებით/მტკიცებულებებით;



ბ) საჭიროა მოსახლეობის ან მოსახლეობის კონკრეტული ჯგუფის ნუტრიციული (კვებითი) სტატუსის გაუმჯობესება და/ან კვებით ჩვევებში მომხდარი ცვლილებების გამო, გამოყენებული სურსათიდან მიღებული ვიტამინების და/ან მინერალების შესაძლო დეფიციტის აღმოფხვრა;

გ) ვითარდება საერთაშორისოდ აღიარებული მეცნიერული ცოდნა, კვებაში ვიტამინებისა და მინერალების როლის და ადამიანის ჯანმრთელობაზე მისი ზეგავლენის შესახებ.

მუხლი 4. შეზღუდვები ვიტამინებისა და მინერალების დამატებაზე

1. დაუშვებელია ვიტამინებისა და მინერალების დამატება:

ა) გადაუმუშავებელ სურსათში, მათ შორის, ხილში, ბოსტნეულში, ხორცში, ფრინველსა და თევზში;

ბ) სასმელში, რომლის მოცულობითი სპირტშემცველობა 1,2%-ს აღემატება;

გ) სურსათში, რომელიც ბაზარზე უკვე განთავსებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედებამდე;

დ) თუ არ არსებობს დასაბუთება ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო და სურსათის კვებით ღირებულებასთან დაკავშირებით და შესაბამისად, არ არსებობს ჯანმრთელობასა და კვებით ღირებულებასთან დაკავშირებული განაცხადი.

2. სურსათი და სურსათის კატეგორიები, რომლებშიც დაუშვებელია ამა თუ იმ ვიტამინის ან/და მინერალების დამატება, უნდა განისაზღვროს მეცნიერული მტკიცებულებებისა და მათი კვებითი ღირებულების გათვალისწინებით.

მუხლი 5. სისუფთავის კრიტერიუმები

ამ ტექნიკური რეგლამენტის №2 დანართით განსაზღვრული ვიტამინების ფორმები და მინერალური ნივთიერებების სისუფთავის კრიტერიუმები, რომლებიც გამიზნულია სურსათში დამატებისათვის, უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო მოთხოვნებით რეკომენდებულ კრიტერიუმებს.

მუხლი 6. ვიტამინებისა და მინერალების დამატების პირობები

1. სურსათში ვიტამინებისა და მინერალების ნებისმიერი მიზნით დამატებისას, მათი შემცველობა სურსათის რეალიზაციის დროს არ უნდა აღემატებოდეს დადგენილ მაქსიმალურ რაოდენობას. კონცენტრირებულ და დეჰიდრირებულ (გაუწყლოებულ) სურსათში ვიტამინებისა და მინერალების მაქსიმალური რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ბიზნესოპერატორის ინსტრუქციის შესაბამისად მზა სურსათისათვის განსაზღვრულ რაოდენობას.



2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვიტამინებისა და მინერალების მაქსიმალური რაოდენობა დადგენილი უნდა იქნეს შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) ვიტამინებისა და მინერალების რაოდენობის ზედა უვნებელი ზღვრის დადგენა უნდა მოხდეს საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერული მონაცემების საფუძველზე დადგენილი რისკების მეცნიერული შეფასებით და საჭიროების მიხედვით, გათვალისწინებული უნდა იქნეს მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფების მგრძობელობა;

ბ) ვიტამინებისა და მინერალების მიღება ხდება რაციონის სხვა წყაროებიდან.

3. სურსათში, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, ვიტამინებისა და მინერალების მაქსიმალური რაოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მოსახლეობისათვის ვიტამინებისა და მინერალების მოხმარების რეკომენდებული რაოდენობა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვიტამინებისა და მინერალების მაქსიმალური რაოდენობის დადგენისას, რომელიც მიახლოებულია მოსახლეობისათვის რეკომენდებული რაოდენობის ზედა უვნებელ ზღვარს, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) ცალკეული დასახელების სურსათის წვლილი მოსახლეობის ან მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების კვების რაციონში;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სურსათის კვებითი პროფილი (საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილების ნორმები, ასევე კონკრეტული სურსათისათვის დადგენილი მოთხოვნები).

5. ვიტამინების ან მინერალების სურსათში დამატება უნდა განხორციელდეს არანაკლებ ისეთი რაოდენობებით, რომ უზრუნველყოფდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის №4 დანართით – „ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების სადღეღამისო გამოყენების რეკომენდებული ნორმები ზრდასრული ადამიანისთვის“ განსაზღვრულ ნორმებს. ცალკეული დასახელების ან კატეგორიის სურსათისათვის, ვიტამინებისა და მინერალების ისეთი მცირე რაოდენობებით დამატებისას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული პირობის დაცვას, გამოყენებული უნდა იქნეს საერთაშორისო მოთხოვნები.

მუხლი 7. ეტიკეტირება, წარდგენა და რეკლამა

1. სურსათს, რომელსაც დამატებული აქვს ვიტამინები და მინერალები:

ა) მისი ეტიკეტირება, წარდგენა და რეკლამა არ უნდა მიაწინებდეს ისეთ ინფორმაციაზე, რომელიც აღნიშნავს ან გულისხმობს, რომ მრავალფეროვანი და ბალანსირებული კვება (დიეტა) ორგანიზმს ვერ უზრუნველყოფს საკვები ნივთიერებების სათანადო რაოდენობით;



ბ) მომხმარებელი არ უნდა შეჰყავდეს შეცდომაში, ვიტამინებისა და მინერალების დამატების შედეგად, სურსათის კვებით ღირებულებასთან დაკავშირებით.

2. სურსათის ეტიკეტზე, რომელსაც დამატებული აქვს ვიტამინები და მინერალები, სავალდებულოა აღნიშნულ იქნეს:

ა) ვიტამინებისა და მინერალების რაოდენობა, დამატებული ვიტამინებისა და მინერალების რაოდენობის გათვალისწინებით;

ბ) კვებითი ღირებულება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც სავალდებულოა, კვებითი ღირებულების შესახებ მითითებულ იქნეს:

ბ.ა) ენერგეტიკული ღირებულება;

ბ.ბ) ცხიმების, ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების, ნახშირწყლების, შაქრის, ცილისა და მარილის რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში, მონაცემები იმის შესახებ, რომ მარილის შემცველობა განპირობებულია ბუნებრივი წარმოშობის ნატრიუმის შემცველობით, განთავსებული უნდა იქნეს კვებითი ღირებულების შესახებ ინფორმაციის გვერდით.

3. სურსათის ეტიკეტზე, რომელსაც დამატებული აქვს ვიტამინები და მინერალები, ინფორმაცია დამატებული ვიტამინებისა და მინერალების შესახებ განთავსებულ უნდა იქნეს და აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებს.

მუხლი 8. აკრძალული, შეზღუდული და შემოწმებას დაქვემდებარებული ნივთიერებები

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის №3 დანართით – „ნივთიერებები, რომელთა გამოყენება სურსათში აკრძალულია, შეზღუდულია ან ექვემდებარება გამოკვლევას“ განსაზღვრული ნივთიერებების მოთხოვნების გათვალისწინებით, შესაძლებელია ცვლილებების განხორციელება, თუ სურსათს ემატება ან სურსათის წარმოებაში გამოიყენება სხვა ნივთიერება, გარდა ვიტამინ(ებ)ისა და მინერალ(ებ)ისა ან ინგრედიენტ(ებ)ი, რომელიც შეიცავს სხვა ნივთიერებას, გარდა ვიტამინ(ებ)ისა და მინერალ(ებ)ისა და ასეთი სურსათის გამოყენების შედეგად ამ ნივთიერების მოხმარება მნიშვნელოვნად აღემატება იმ რაოდენობას, რომელსაც ორგანიზმი ღებულობს ნორმალურ პირობებში დაბალანსებული და მრავალფეროვანი რაციონის მიღებისას ან/და ეს ნივთიერება მომხმარებლის ჯანმრთელობას უქმნის პოტენციურ რისკს.

2. თუ გამოვლენილია ადამიანის ჯანმრთელობაზე არასასურველი ზეგავლენა, ნივთიერება ან/და ინგრედიენტი, რომელიც შეიცავს ამ ნივთიერებას, შეტანილი უნდა იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის №3 დანართის ერთ-ერთ ნაწილში:

ა) „ა“ ნაწილში – „აკრძალული ნივთიერებები“ და მისი დამატება სურსათში ან გამოყენება სურსათის წარმოებაში უნდა აიკრძალოს;



ბ) „ბ“ ნაწილში – „შეზღუდული ნივთიერებები“ და მისი დამატება სურსათში ან გამოყენება სურსათის წარმოებაში ნებადართული უნდა იქნეს მხოლოდ ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

3. თუ გამოვლენილია ნივთიერების ან/და ინგრედიენტის, რომელიც ამ ნივთიერებას შეიცავს, ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის ალბათობა, მაგრამ მეცნიერული მონაცემები არასაკმარისი და არასრულია, აღნიშნული ნივთიერება შეტანილი უნდა იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის №3 დანართის „გ“ ნაწილში – „ნივთიერებები, რომლებიც ექვემდებარება გამოკვლევას“.

4. ბიზნესოპერატორს ან სხვა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) შეფასებისათვის წარუდგინოს საერთაშორისო მეცნიერული მტკიცებულებებით განსაზღვრული დასაბუთება, რომლითაც დადასტურებული იქნება სურსათში ან სურსათის კატეგორიაში გამოყენებისას ამ ტექნიკური რეგლამენტის №3 დანართის „გ“ ნაწილით განსაზღვრული ნივთიერებების უვნებლობა და მათი გამოყენების მიზანი.

5. ნივთიერების ამ ტექნიკური რეგლამენტის №3 დანართის „გ“ ნაწილში შეტანიდან 4 წლის განმავლობაში, სააგენტოში შესაფასებლად წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით, დასაშვებია ეს ნივთიერებები შეტანილ იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის №3 დანართის „ა“ ან „ბ“ ნაწილში.

მუხლი 9. რეესტრი

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა აწარმოოს სურსათში დამატებისათვის დაშვებული ვიტამინების, მინერალების და ზოგიერთი სხვა ნივთიერების რეესტრი.

2. რეესტრი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას:

ა) ვიტამინებისა და მინერალების შესახებ, რომლებიც შესაძლებელია სურსათში დამატებულ იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის №1 დანართის შესაბამისად;

ბ) ამ ტექნიკური რეგლამენტის №2 დანართის შესაბამისად განსაზღვრული ვიტამინების ფორმებისა და მინერალების შესახებ, რომელთა დამატება სურსათში დასაშვებია;

გ) ვიტამინებისა და მინერალების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობის შესახებ, რომელიც შესაძლებელია სურსათში დამატებულ იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-6 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;



დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვიტამინებისა და მინერალების სავალდებულო დამატების შესახებ;

ე) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლით განსაზღვრული შეზღუდვებისა და აკრძალვების შესახებ, ვიტამინებისა და მინერალების დამატებასთან დაკავშირებით;

ვ) ამ ტექნიკური რეგლამენტის №3 დანართით განსაზღვრული ნივთიერებების შესახებ და მათი დანართში შეტანის საფუძვლებს;

ზ) ამ ტექნიკური რეგლამენტის №3 დანართის „გ“ ნაწილით განსაზღვრული ნივთიერებების შესახებ, რომელთა გამოყენება დაშვებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

3. რეესტრი ხელმისაწვდომი უნდა იქნეს საზოგადოებისათვის.

მუხლი 10. დაცვის ზომების გატარება

თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ სურსათი, რომელიც აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ რისკს (საფრთხეში აგდებს) უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, შესაძლებელია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დროებით შეჩერებულ ან შეზღუდულ იქნეს მინერალებისა და ვიტამინების დამატების შესახებ მოქმედ ნორმებთან დაკავშირებული მოთხოვნები.

მუხლი 11. შესაბამისობის შეფასება

1. ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული სურსათის შესაბამისობის შეფასება სააგენტოს მიერ ხორციელდება სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში.

2. ბიზნესოპერატორი, რომელიც აწარმოებს ან ბაზარზე განათავსებს სურსათს, რომელშიც დამატებულ იქნა ვიტამინები და მინერალები და სურსათს, რომელიც შეიცავს ამ ტექნიკური რეგლამენტის №3 დანართის „ბ“ და „გ“ ნაწილებით განსაზღვრულ ნივთიერებებს, ვალდებულია, სურსათის ეტიკეტის ნიმუშის წარდგენით, სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია ასეთი სურსათის ბაზარზე განათავსების შესახებ.



დანართი №1

ვიტამინები და მინერალები, რომლებიც შესაძლებელია დამატებულ იქნას სურსათში

| ვიტამინები | მინერალები |
|--------------------------|------------|
| ვიტამინი A | კალციუმი |
| ვიტამინი D | მაგნიუმი |
| ვიტამინი E | რკინა |
| ვიტამინი K | სპილენძი |
| ვიტამინი B ₁ | იოდი |
| ვიტამინი B ₂ | თუთია |
| ნიაცინი (ვიტამინი PP) | მანგანუმი |
| პანთოთენის მჟავა | ნატრიუმი |
| ვიტამინი B ₆ | კალიუმი |
| ფოლის (ფოლიუმის) მჟავა* | სელენი |
| ვიტამინი B ₁₂ | ქრომი |
| ბიოტინი | მოლიბდენი |
| ვიტამინი C | ფტორიდი |
| | ქლორიდი |
| | ფოსფორი |
| | ბორი |

* ფოლიუმის მჟავა - წყალში ხსნადი B ჯგუფის ვიტამინია და სხვაგვარად B₉ ვიტამინი ეწოდება. ფოლიუმის მჟავა სხვა წარმოებულებთან ერთად, როგორებიცაა დი-, ტრი-, პოლიგლუტამატები და სხვ. გაერთიანებულნი არიან ფოლატების სახელწოდებით.





დანართი №2

ვიტამინების ფორმები და მინერალური ნივთიერებები, რომლებიც შესაძლებელია დამატებულ იქნას სურსათში

| დასახელება | ქიმიური ფორმები |
|--------------------------|---|
| 1. ვიტამინები | |
| ვიტამინი A | რეთინოლი რეთინოლაცეტატი რეთინოლპალმიტატი ბეტა-კაროტინი |
| ვიტამინი D | ქოლეკალციფეროლი (D ₃) ერგოკალციფეროლი (D ₂) |
| ვიტამინი E | D-ალფა-ტოკოფეროლი DL-ალფა-ტოკოფეროლი D-ალფა-ტოკოფეროლის აცეტატი DL-ალფა-ტოკოფეროლის აცეტატი D-ალფა-ტოკოფეროლის მჟავის სუქცინატი |
| ვიტამინი K | ფილოქინონი (ვიტომენადიონი) – (ვიტამინი K ₁) მენაქინონი* – (ვიტამინი K ₂) |
| ვიტამინი B ₁ | თიამინის ჰიდროქლორიდი თიამინის მონონიტრატი |
| ვიტამინი B ₂ | რიბოფლავინი ნატრიუმის რიბოფლავინ 5' – ფოსფატი |
| ნიაცინი (ვიტამინი PP) | ნიკოტინის მჟავა ნიკოტინამიდი |
| პანთოთენის მჟავა | კალციუმის D-პანთოთენატი ნატრიუმის D-პანთოთენატი დექსპანთენოლი |
| ვიტამინი B ₆ | პირიდოქსინის ჰიდროქლორიდი პირიდოქსინის 5' – ფოსფატი პირიდოქსინის დიპალმიტატი |
| ფოლის(ფოლიუმის) მჟავა | ფტეროილმონოგლუტამინის მჟავა კალციუმ -L-მეთილფოლატი |
| ვიტამინი B ₁₂ | ციანოკობალამინი ჰიდროქსოკობალამინი |
| ბიოტინი | D-ბიოტინი |



| | |
|-----------------------------------|--|
| ვიტამინი C | <p>L – ასკორბინის მჟავა ნატრიუმის L – ასკორბატი კალციუმის L – ასკორბატი კალიუმის L – ასკორბატი L – ასკორბილ 6-ჰალმიტატი (ასკორბილჰალმიტატი)</p> |
| 2. მინერალური ნივთიერებები | |
| კალციუმი | <p>კალციუმის კარბონატი კალციუმის ქლორიდი კალციუმის ციტრატ-მალატი (ვაშლისმჟავა კალციუმის ციტრატი) ლიმონმჟავა კალციუმის მარილები კალციუმის გლუკონატი კალციუმის გლიცეროფოსფატი კალციუმის ლაქტატი ორთოფოსფორმჟავას კალციუმის მარილები კალციუმის ჰიდროქსიდი კალციუმის მალატი (ვაშლისმჟავა კალციუმი) კალციუმის ოქსიდი კალციუმის სულფატი</p> |
| მაგნიუმი | <p>მაგნიუმის აცეტატი მაგნიუმის კარბონატი მაგნიუმის ქლორიდი ლიმონმჟავა მაგნიუმის მარილები (მაგნიუმის ციტრატები) მაგნიუმის გლუკონატი მაგნიუმის გლიცეროფოსფატი ორთოფოსფორმჟავას მაგნიუმის მარილები მაგნიუმის ლაქტატი მაგნიუმის ჰიდროქსიდი მაგნიუმის ოქსიდი მაგნიუმ – კალციუმის ციტრატი მაგნიუმის სულფატი</p> |



| | |
|------------------|--|
| <p>რკინა</p> | <p>რკინის (II) ბისგლიცინატი რკინის (II) კარბონატი რკინის (II) ციტრატი რკინა-ამონიუმის ციტრატი რკინის (II) გლუკონატი რკინის (II) ფუმარატი რკინა-ნატრიუმის დიფოსფატი რკინის (II) ლაქტატი რკინის (II) სულფატი რკინა(II)-ამონიუმის ფოსფატი რკინა (II) -ნატრიუმის ეთილენდიამინტეტრაამმარმჟავა (EDTA) რკინის დიფოსფატი (რკინის პიროფოსფატი) რკინის საქარატი ელემენტარული რკინა (კარბონილი+ელექტროლიტი+რედუცირებული წყალბადი)</p> |
| <p>სპილენძი</p> | <p>სპილენძის კარბონატი სპილენძის ციტრატი სპილენძის გლუკონატი სპილენძის სულფატი სპილენძ-ლიზინის კომპლექსი</p> |
| <p>იოდი</p> | <p>ნატრიუმის იოდიდი ნატრიუმის იოდატი კალიუმის იოდიდი კალიუმის იოდატი</p> |
| <p>თუთია</p> | <p>თუთიის აცეტატი თუთიის ბისგლიცინატი თუთიის ქლორიდი თუთიის ციტრატი თუთიის გლუკონატი თუთიის ლაქტატი; თუთიის ოქსიდი თუთიის კარბონატი თუთიის სულფატი</p> |
| <p>მანგანუმი</p> | <p>მანგანუმის კარბონატი მანგანუმის ქლორიდი მანგანუმის ციტრატი მანგანუმის გლუკონატი მანგანუმის გლიცეროფოსფატი მანგანუმის სულფატი</p> |



| | |
|-----------------|--|
| ნატრიუმი | ნატრიუმის ბიკარბონატი ნატრიუმის კარბონატი ნატრიუმის ციტრატი ნატრიუმის გლუკონატი ნატრიუმის ლაქტატი ნატრიუმის ჰიდროქსიდი ორთოფოსფორმჟავა ნატრიუმის მარილი ნატრიუმის სელენატი ნატრიუმის სელენიტი ნატრიუმის ერთხანაცვლებული სელენიტი ნატრიუმის ფტორიდი ნატრიუმის სელენიტით (სელენით) გამდიდრებული საფუარი** |
| კალიუმი | კალიუმის ფტორიდი კალიუმის ბიკარბონატი კალიუმის კარბონატი კალიუმის ქლორიდი კალიუმის ციტრატი კალიუმის გლუკონატი კალიუმის გლიცეროფოსფატი კალიუმის ლაქტატი კალიუმის ჰიდროქსიდი ორთოფოსფორმჟავას კალიუმის მარილი |
| ქრომის მარილები | ქრომის (III) ქლორიდი და მისი ჰექსაჰიდრატი ქრომის (III) სულფატი და მისი ჰექსაჰიდრატი ქრომის პიკოლიტანი ქრომის (III) სამხანაცვლებული ლაქტატი |
| მოლიბდენი | ამონიუმის მოლიბდატი (მოლიბდენ (VI)) ნატრიუმის მოლიბდატი (მოლიბდენ (VI)) |
| ბორის მარილები | ბორის მჟავა ნატრიუმის ბორატი |

* მენაქინონი ძირითადად არსებობს მენაქინონი – 7-ის და უმნიშვნელოდ მენაქინონი 6-ის სახით.

**სელენით გამდიდრებული საფუარი. სელენის წყროდ გამოიყენება ნატრიუმის სელენიტი, რომლის შემცველობა მშრალ საფუარში არაუმეტეს 2,5 მგ Se/გ-ში. საფუარში უპირატესი შემცველობა აქვს სელენმეთიონინს (60-85% საფუარში სელენის საერთო შემცველობის). სელენის სხვა ორგანული ნაერთების, მათ შორის სელენცისტეინის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს სელენის საერთო რაოდენობის 10%-ს. არაორგანული სელენის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს სელენის საერთო რაოდენობის 1%-ს.



დანართი №3

ნივთიერებები, რომელთა გამოყენება სურსათში აკრძალულია, შეზღუდულია ან ექვემდებარება გამოკვლევას

ნაწილი „ა“ – აკრძალული ნივთიერებები

მცენარე ეფედრა და *Ephedra* – ს სხვადასხვა სახეობიდან მიღებული პრეპარატები

ნაწილი „ბ“ – შეზღუდული ნივთიერებები

ნაწილი „გ“ – ნივთიერებები, რომლებიც ექვემდებარება გამოკვლევას

მცენარე იოჰიმბეს (*Pausinystalia johimbe K.Schum*) *Piere ex Beile*) ქერქი და მცენარე იოჰიმბესგან მიღებული პრეპარატები.

დანართი №4

ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების სადღეღამისო გამოყენების რეკომენდებული ნორმები ზრდასრული ადამიანისთვის

1. ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების, სადღეღამისო გამოყენების რეკომენდებული ნორმებია:

| დასახელება | ერთეული | სადღეღამისო გამოყენების რეკომენდებული ნორმა |
|-------------------------|---------|---|
| ვიტამინი A | მკგ | 800 |
| ვიტამინი D | მკგ | 5 |
| ვიტამინი E | მგ | 12 |
| ვიტამინი K | მკგ | 75 |
| ვიტამინი C | მგ | 80 |
| თიამინი | მგ | 1,1 |
| რიბოფლავინი | მგ | 1,4 |
| ნიაცინი | მგ | 16 |
| ვიტამინი B ₆ | მგ | 1,4 |



| | | |
|--------------------------|-----|--------------|
| ფოლიუმის მჟავა | მკგ | 200 |
| ვიტამინი B ₁₂ | მკგ | 2,5 |
| ბიოტინი | მკგ | 50 |
| პანტოტეინის მჟავა | მგ | 6 |
| კალიუმი | მგ | 2 000 |
| ქლორიდი | მგ | 800 |
| კალციუმი | მგ | 800 |
| ფოსფორი | მგ | 700 |
| მაგნიუმი | მგ | 375 |
| რკინა | მგ | 14 |
| თუთია | მგ | 10 |
| სპილენძი | მგ | 1 |
| მანგანუმი | მგ | 2 |
| ფტორიდი | მგ | 3,5 |
| სელენი | მკგ | 55 |
| ქრომი | მკგ | 40 |
| მოლიბდენი | მკგ | 50 |
| იოდი | მკგ | 150 |

2. ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების აუცილებელი(საჭირო) რაოდენობის დადგენისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) ამ დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრული საკვები ნივთიერებების რეკომენდებული ნორმის **15 % ,100 გ ან 100 მლ** სურსათისათვის, გარდა სასმელებისა;

ბ) ამ დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრული საკვები ნივთიერებების რეკომენდებული ნორმის **7,5% , 100 მლ** სასმელისათვის;

გ) ამ დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრული საკვები ნივთიერებების რეკომენდებული ნორმის **15 %** , ერთი პორციისათვის, თუ შეფუთვაში მხოლოდ ერთი პორციაა.

**საქართველოს მთავრობის****დადგენილება №510**

2016 წლის 17 ნოემბერი, ქ. თბილისი

**სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული
განაცხადის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ****მუხლი 1**

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

**სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული
განაცხადის განთავსების წესი****თავი I. ზოგადი დებულებები****მუხლი 1. მიზანი და რეგულირების სფერო**

1. სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესი (შემდგომში – წესი) მიზნად ისახავს საბოლოო მომხმარებლისათვის განკუთვნილი სურსათის წარდგენის (პრეზენტაციის) ან რეკლამის დროს ეტიკეტზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსებისას მომხმარებელთა უფლებების დაცვას და შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

2. ეს წესი ადგენს ბაზარზე განთავსებული და საბოლოო მომხმარებლისთვის განკუთვნილი სურსათის წარდგენის (პრეზენტაციის), რეკლამისა და ეტიკეტირებისას კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების ზოგად პრინციპებს, მოთხოვნებს და პროცედურებს.



3. ეს წესი ვრცელდება სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებულ სურსათთან დაკავშირებულ განაცხადზე, რომელიც განკუთვნილია საბოლოო მომხმარებლისათვის. მათ შორის, სურსათზე, რომელიც მიეწოდება რესტორნებს, საავადმყოფოებს, სკოლებს, სასადილოებს და საზოგადოებრივი კვების სხვა მსგავს ობიექტებს.

4. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება ამ წესის ამოქმედებამდე დამზადებულ სურსათზე, რომლის ვარგისიანობის ვადაც არ არის გასული.

5. ამ წესის მე-7 მუხლით და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები არ ვრცელდება დაუფასოებელ სურსათზე (მათ შორის, ახალი ხილი, ახალი ბოსტნეული ან ახალი პური), რომელიც საბოლოო მომხმარებელს ან საზოგადოებრივი კვების ობიექტს მიეწოდება შეფუთვის გარეშე ან მისი დაფასოება ხდება რეალიზაციის ადგილებში მომხმარებლის თხოვნის საფუძველზე ან დაუყონებლივ გაყიდვის მიზნით. მათზე სავალდებულოა ამ წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.

6. იმ ბიზნესოპერატორებმა, რომლებზეც ვრცელდება ამ წესის მოთხოვნები, შესაბამისი კვებითი პროფილის (კვებითი მახასიათებლის) და პირობების დადგენიდან არა უგვიანეს 12 თვის ვადაში უნდა უზრუნველყონ თავიანთი საქმიანობის შესაბამისობაში მოყვანა ამ წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

7. ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს:

- ა) განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების სურსათისათვის;
- ბ) ნატურალური მინერალური წყლებისათვის;
- გ) ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სასმელი წყლისათვის;
- დ) სასურსათო (სურსათის) დანამატებისათვის.

8. სურსათის ეტიკეტზე წარდგენისას (პრეზენტაციისას) ან რეკლამაში სავაჭრო ნიშანი, სასაქონლო ნიშანი (ბრენდი) ან წარმოსახვითი სახელი (ფანტაზიის ნაყოფი), რომელიც შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორც სურსათის კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადი, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ წესით განსაზღვრული ავტორიზაციის გარეშე იმ პირობით, თუ სურსათს თან ერთვის კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს ეტიკეტირების, წარდგენისა (პრეზენტაციის) და რეკლამის მიმართ.

9. სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის ავტორიზაციას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო).

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები**

ამ წესის მიზნებისათვის სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრულ ტერმინებთან ერთად გამოიყენება ტერმინები, რომელთაც აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სასურსათო (სურსათის) დანამატი – კვებითი ან ფიზიოლოგიური ეფექტის მქონე ნივთიერებები, რომლებიც გამოიყენება ჩვეულებრივ დიეტურ კვებაში, როგორც საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტები) ან სხვა ნივთიერებების წყარო ცალ-ცალკე ან კომბინაციაში, ბაზარზე განთავსებულია წამლის ფორმით, კერძოდ: კაფსულების, აბების, ამპულების, ფხვნილების, დრაჟეების, ბოთლებში სითხის ან დაფასებული ფხვნილის და სხვა ანალოგიური სახით, რომელთა გამოყენება ხდება განსაზღვრული მცირე რაოდენობით;

ბ) ცხიმი – საერთო ლიპიდები, მათ შორის, ფოსფოლიპიდები;

გ) ტრანსცხიმი – ცხიმოვანი მჟავა, ნახშირბადის ატომებს შორის ერთი ან მეტი ორმაგი ბმით ტრანს-იზომერულ კონფიგურაციაში;

დ) ნაჯერი ცხიმოვანი მჟავები – ცხიმოვანი მჟავები, ნახშირბადის მეზობელ ატომებს შორის ორმაგი ბმის გარეშე;

ე) მონოუჯერი ცხიმოვანი მჟავები – ცხიმოვანი მჟავა ნახშირბადის ატომებს შორის ერთი ორმაგი ბმით ცის-იზომერულ კონფიგურაციაში;

ვ) პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავა – ცხიმოვანი მჟავა ნახშირბადის ატომებს შორის ორი ან მეტი ორმაგი ბმით ცის-იზომერულ კონფიგურაციაში;

ზ) ნახშირწყალი – ნებისმიერი ნახშირწყალი, პოლიოლის ჩათვლით, რომელიც მეტაბოლიზმს განიცდის ადამიანის ორგანიზმში;

თ) შაქარი – სურსათში არსებული ყველა მონოსაქარიდი და დისაქარიდი, გარდა პოლიოლისა;

ი) ცილა – ცილის შემცველობა, რომელიც გამოითვლება ფორმულით: ცილა= საერთო აზოტი (კელდალის მიხედვით) x 6,25;

კ) ბოჭკოვანი ნივთიერება – ნახშირწყლების პოლიმერები სამი ან მეტი მონომერული ერთეულით, რომელთა აბსორბცია და გადამუშავება ვერ ხდება ადამიანის წვრილ ნაწლავებში. ბოჭკოვანი ნივთიერებების კატეგორიებია:

კ.ა) საკვები ნახშირწყლების პოლიმერები, რომლებიც ბუნებრივადაა სურსათში;



კ.ბ) საკვები ნახშირწყლების პოლიმერები, რომლებიც მიიღება სასურსათო ნედლეულიდან ფიზიკური, ფერმენტული ან ქიმიური გზით და რომელთა სასარგებლო ფიზიოლოგიური ეფექტიანობა დადასტურებულია აღიარებული მეცნიერული მტკიცებულებით;

კ.გ) საკვები ნახშირწყლების პოლიმერები, სინთეზური გზით მიღებული, რომელთა სასარგებლო ფიზიოლოგიური ეფექტიანობა დადასტურებულია აღიარებული მეცნიერული მტკიცებულებით;

ლ) ეტიკეტირება – ნებისმიერი სიტყვა, მონაცემი, სავაჭრო ნიშანი, სასაქონლო ნიშანი (ბრენდი), გრაფიკული გამოსახულება, აღწერილობითი გამოსახულება (ილუსტრაცია) ან სიმბოლო, რომელიც დაკავშირებულია სურსათთან და განთავსებულია სურსათის ნებისმიერ შეფუთვაზე, ეტიკეტზე, ბეჭედზე ან საყელოზე ან მოცემულია თანდართულ დოკუმენტში;

მ) განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების სურსათი – სურსათი, რომელიც განსაკუთრებული შედეგნილობის ან წარმოება-დამზადების პროცესის გამო მკვეთრად განსხვავდება ნორმალური გამოყენებისათვის განკუთვნილი სურსათისგან, შეესაბამება დეკლარირებული კვებითი მიზნებისათვის გამოყენებას და ამის შესახებ მითითებულ უნდა იქნეს ბაზარზე განთავსებისას;

ნ) განაცხადი – ნებისმიერი შეტყობინება ან წარდგენა (პრეზენტაცია), გამოსახული ილუსტრაციით, გრაფიკულად ან სიმბოლოების საშუალებით ან ნებისმიერი სხვა ფორმით, რომელიც არ არის სავალდებულო და რომელიც გულისხმობს ან აცხადებს ან რომლითაც გამოხატულია, რომ სურსათს აქვს განსაკუთრებული დამახასიათებელი თვისებები;

ო) საკვები ნივთიერება (ნუტრიენტი) – ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ბოჭკოვანი ნივთიერებები (საკვები ბოჭკოები), ნატრიუმი (მარილი), ასევე ამ წესის დანართი №3-ით „გამოყენების რეკომენდებული ნორმები“ განსაზღვრული ვიტამინები და მინერალები და ნივთიერებები, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთ რომელიმე კატეგორიას ან წარმოადგენენ მათ შემადგენელ კომპონენტს;

პ) სხვა ნივთიერება – ნივთიერებები, გარდა საკვები ნივთიერებებისა (ნუტრიენტები), რომელთაც აქვთ ფიზიოლოგიური ან კვებითი ეფექტი (დანიშნულება);

ჟ) განაცხადი კვებითი ღირებულების შესახებ – ნებისმიერი განაცხადი, რომელიც გულისხმობს ან გამოხატავს ან აცხადებს, რომ სურსათს აქვს განსაკუთრებული სასარგებლო კვებითი ღირებულება, რომელიც დაკავშირებულია სურსათის მახასიათებლებთან;

ჟ.ა) კალორიულობასთან ანუ ენერგეტიკულ ღირებულებასთან, რომლის შესაბამისად სურსათი შეიძლება იყოს:



ჟ.ა.ა) კალორიული;

ჟ.ა.ბ) მაღალკალორიული ან დაბალკალორიული;

ჟ.ა.გ) არაკალორიული;

ჟ.ბ) საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) და სხვა ნივთიერებების შემცველობასთან, შესაბამისად სურსათი შეიძლება:

ჟ.ბ.ა) შეიცავდეს საკვებ ნივთიერებებს (ნუტრიენტებს) და სხვა ნივთიერებებს;

ჟ.ბ.ბ) შეიცავდეს საკვებ ნივთიერებებს (ნუტრიენტებს) და სხვა ნივთიერებებს დიდი რაოდენობით ან მცირე რაოდენობით;

ჟ.ბ.გ) არ შეიცავდეს საკვებ ნივთიერებებს (ნუტრიენტებს) და სხვა ნივთიერებებს;

რ) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადი – ნებისმიერი განაცხადი, რომელიც გულისხმობს ან აცხადებს ან გამოხატავს, რომ არსებობს კავშირი სურსათის კატეგორიას ან სურსათს ან სურსათის შემადგენელ რომელიმე კომპონენტსა და ადამიანის ჯანმრთელობას შორის;

ს) განაცხადი დაავადების რისკის შემცირების შესახებ – ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნებისმიერი განაცხადი, რომელიც გულისხმობს ან გამოხატავს ან აცხადებს, რომ სურსათის რომელიმე კატეგორიის, რომელიმე დასახელების სურსათის ან სურსათის რომელიმე კომპონენტის მოხმარება მნიშვნელოვნად ამცირებს ადამიანის დაავადების განვითარების რისკს;

ტ) სამაგიდე (სასუფრე) დამატკობელი – ნებადართული დამატკობლის პრეპარატი, რომელიც შეიძლება შეიცავდეს სხვა საკვებდანამატებს ან/და ინგრედიენტებს და რომელიც განკუთვნილია საბოლოო მომხმარებლისათვის მისაწოდებლად, როგორც შაქრის შემცველი.

თავი II. ზოგადი პრინციპები

მუხლი 3. ზოგადი პრინციპები ნებისმიერ განაცხადთან დაკავშირებით

ბაზარზე განთავსებული სურსათის კვებითი ღირებულების შესახებ განაცხადი და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სურსათის ეტიკეტირების, წარდგენის (პრეზენტაციის) ან რეკლამისათვის, უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს. განაცხადი:

ა) არ უნდა იყოს მომხმარებლისთვის მცდარი, ბუნდოვანი ან შეცდომაში შემყვანი;



ბ) არ უნდა ქმნიდეს მცდარ წარმოდგენას სურსათის უვნებლობის და/ან კვებითი ადეკვატურობის მიმართ სხვა სურსათთან მიმართებაში;

გ) არ უნდა უწყობდეს ხელს ან არ უნდა უბიძგებდეს (აქეზებდეს) სურსათის ჭარბ მოხმარებას;

დ) არ უნდა გულისხმობდეს ან გამოხატავდეს ან აცხადებდეს, რომ ბალანსირებული და მრავალფეროვანი დიეტა ვერ უზრუნველყოფს ორგანიზმისათვის საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) საჭირო შესაბამის რაოდენობას;

ე) თავისი გრაფიკული, აღწერილობითი გამოსახულებით (ილუსტრაციით) ან სიმბოლოთი, არ უნდა იწვევდეს ან ზრდიდეს მომხმარებლის ეჭვს ორგანიზმის ფუნქციურ ცვლილებებთან დაკავშირებით.

მუხლი 4. კვებითი ღირებულების შესახებ განაცხადის და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის გამოყენების ზოგადი მოთხოვნები

1. სამინისტრო, საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით, 2018 წლის 1 მარტამდე ადგენს სურსათის ან სურსათის ძირითად კატეგორიებისათვის კვებით პროფილს (კვებით მახასიათებელს) და პირობებს, მათ შორის, გამონაკლისებს, რომელიც დაცულ უნდა იქნეს სურსათზე კვებითი ღირებულების შესახებ განაცხადის და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის მითითებისას.

2. სურსათის ან/და სურსათის გარკვეული კატეგორიებისათვის კვებითი პროფილის (კვებითი მახასიათებელი) განსაზღვრისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ა) განსაზღვრული საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) და სხვა ნივთიერებების რაოდენობა სურსათში, მაგალითად, ცხიმები, ნაჯერი ცხიმოვანი მჟავები, ტრანსცხიმოვანი მჟავები, შაქრები და ნატრიუმი/მარილი;

ბ) სურსათის (ან სურსათის კატეგორიის) როლი და მნიშვნელობა, ასევე ზოგადად კონკრეტული სურსათის წვლილი მოსახლეობის კვების რაციონში ან, საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული რისკ-ჯგუფების, მათ შორის, ბავშვებისათვის;

გ) სურსათის საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) საერთო შემადგენლობა და იმ საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) არსებობა, რომელთა გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე დადასტურებულია მეცნიერულად.

3. კვებითი პროფილი (კვებითი მახასიათებელი) დაფუძნებული უნდა იქნეს კვების რაციონის, კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობას შორის არსებულ ურთიერთკავშირის შესახებ მეცნიერულ მონაცემებზე.



4. სურსათის კონკრეტული კატეგორიის კვებითი პროფილის (კვებითი მახასიათებელი) დადგენისთვის, რომლის პროცედურა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 12 თვისა, დაინტერესებული მხარის მიერ სამინისტროში წარდგენილი უნდა იქნეს სამეცნიერო რეკომენდაციები და დასკვნები, კერძოდ:

ა) სურსათის ან/და სურსათის კატეგორიებისათვის კვებითი პროფილის (კვებითი მახასიათებელი) დადგენის აუცილებლობის შესახებ;

ბ) შერჩეული საკვები ნივთიერებებისა (ნუტრიენტების) და მათი ბალანსის აუცილებელი გათვალისწინების შესახებ;

გ) კვებითი პროფილის ეტალონური მნიშვნელობის შერჩევასთან დაკავშირებით;

დ) კვებითი პროფილის (კვებითი მახასიათებელი) გამოთვლის მეთოდი;

ე) შეთავაზებული სისტემის გამოყენების და გამოცდის შესაძლებლობა.

5. კვებითი პროფილის (კვებითი მახასიათებელი) დადგენისას სამინისტრო კონსულტაციებს ატარებს დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, მეცნიერებთან, ბიზნესოპერატორებსა და მომხმარებელთა ჯგუფებთან.

6. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე, კვებითი ღირებულების შესახებ განაცხადში დასაშვებია მითითებულ იქნეს:

ა) სურსათში ცხიმის, ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების, ტრანსცხიმოვანი მჟავების, შაქრის და მარილის/ნატრიუმის შემცირებული რაოდენობის შესახებ, კონკრეტული კვებითი პროფილის (მახასიათებლის) მითითების გარეშე, რის შესახებაც არსებობს კვებით ღირებულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, თუ ის შეესაბამება ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ბ) „ინფორმაცია იმ საკვები ნივთიერების (ნუტრიენტი) მაღალი შემცველობის შესახებ, რომელიც აჭარბებს კვებითი პროფილით განსაზღვრულ ნორმას იმ პირობით, რომ ხსენებული მითითება განთავსებული იქნება იმავე მხარეს და იმავე ხედვის არეალში, სადაც განთავსებულია განაცხადი. მითითება ხდება შემდეგი სახით: „..... (საკვები ნივთიერების, ნუტრიენტის დასახელება) მაღალი შემცველობა“.

7. სასმელის ეტიკეტზე, რომლის მოცულობითი სპირტშემცველობა აღემატება 1,2%-ს, დაუშვებელია მასზე განთავსებულ იქნეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადი.

8. სასმელში, რომლის მოცულობითი სპირტშემცველობა 1,2%-ზე ნაკლებია, დაშვებულია განაცხადში მითითებულ იქნეს „ალკოჰოლის დაბალი შემცველობა“, „ალკოჰოლის შემცირებული რაოდენობა“ ან „დაბალი ენერგეტიკული ღირებულება“.



მუხლი 5. ზოგადი პირობები

1. კვებითი ღირებულების შესახებ განაცხადისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის გამოყენება დასაშვებია, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) დადასტურებულია, რომ სურსათში ან სურსათის კატეგორიაში საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) ან სხვა ნივთიერებების არსებობას, არარსებობას ან შემცირებული რაოდენობით შემცველობას, რომლის შესახებაც მითითებულია განაცხადში, აქვს საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერული მონაცემებით დადასტურებული სასარგებლო კვებითი და ფიზიოლოგიური მოქმედება (ეფექტი);

ბ) საკვები ნივთიერებები (ნუტრიენტები) ან სხვა ნივთიერებები, რომელთა შესახებაც გაკეთდა განაცხადი:

ბ.ა) მზა სურსათში არის მნიშვნელოვანი ან ისეთი რაოდენობით, რომ საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერული მონაცემებით დადასტურებულია მათი სასარგებლო კვებითი და ფიზიოლოგიური მოქმედება (ეფექტი);

ბ.ბ) მზა სურსათში არ არის ან ისეთი უმნიშვნელო რაოდენობითაა, რომ გავლენას ვერ ახდენს საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერული მონაცემებით დადასტურებულ სასარგებლო კვებით და ფიზიოლოგიურ მოქმედებაზე (ეფექტი);

გ) საკვები ნივთიერება (ნუტრიენტი) ან სხვა ნივთიერება, რომელზეც გაკეთდა განაცხადში მითითება, ორგანიზმის მიერ ათვისებადი ფორმითაა;

დ) სურსათის რაოდენობა, რომელიც შესაძლებელია გონივრულად იქნეს მოხმარებული, ორგანიზმს უზრუნველყოფს განაცხადში მითითებული საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) ან სხვა ნივთიერებების მნიშვნელოვანი რაოდენობით, რომლებიც ავლენენ საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერული მონაცემებით დადასტურებულ სასარგებლო კვებით და ფიზიოლოგიურ მოქმედებას (ეფექტი);

ე) საჭიროების მიხედვით, აკმაყოფილებენ ამ წესის მე-3 ან მე-4 თავებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. კვებითი ღირებულების შესახებ განაცხადის და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოხმარებული შეძლებს გააცნობიეროს ინფორმაცია იმ მოსალოდნელი დადებითი შედეგების შესახებ, რომელზეც მითითებულია განაცხადში.

3. კვებითი ღირებულების შესახებ განაცხადი და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადი ეხება ბიზნესოპერატორის მიერ დადგენილი ინსტრუქციის მიხედვით, მოხმარებისათვის მზა სურსათს.

**მუხლი 6. განაცხადთან დაკავშირებული მეცნიერული მტკიცებულება**

1. კვებითი ღირებულების შესახებ განაცხადი და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადი უნდა ეფუძნებოდეს საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერულ მტკიცებულებას.

2. ბიზნესოპერატორი, რომელიც განაცხადში მიუთითებს კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან დაკავშირებულ მონაცემს, ვალდებულია დაადასტუროს მისი უტყუარობა.

3. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია, ბიზნესოპერატორს, რომელიც სურსათს განათავსებს ბაზარზე, მოსთხოვოს ამ წესთან შესაბამისობის შესახებ მონაცემები.

მუხლი 7. კვებით ღირებულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1. კვებით ღირებულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია სურსათზე განთავსებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

2. სასურსათო (სურსათის) დანამატების კვებითი ღირებულების შესახებ განაცხადში გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ა) ინფორმაცია საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) ან სხვა ნივთიერებების შესახებ, რომლებიც ხასიათდებიან სპეციფიკური კვებითი ან ფიზიოლოგიური მოქმედებით, ეტიკეტზე მითითებული უნდა იქნეს რიცხობრივი გამოსახულებით. ვიტამინებისა და მინერალებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №2-ით – „ვიტამინები და მინერალები, რომლებიც დაშვებულია სასურსათო (სურსათის) დანამატების წარმოებისათვის“ განსაზღვრული ერთეულები;

ბ) საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) ან სხვა ნივთიერებების რაოდენობა მოცემული უნდა იქნეს ეტიკეტზე მითითებული რეკომენდებული სადღეღამისო მოხმარების შესაბამისად;

გ) ვიტამინებისა და მინერალების შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია, მითითებულ იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი №3-ით განსაზღვრული რეკომენდებული ნორმების პროცენტული რაოდენობის შესაბამისად.

თავი III. კვებითი ღირებულების შესახებ განაცხადი**მუხლი 8. განსაკუთრებული პირობები**

სურსათის კვებით ღირებულებასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსება დასაშვებია, თუ ის აკმაყოფილებს ამ წესისა და დანართი №1-ით – „კვებით ღირებულებასთან დაკავშირებული განაცხადი და მისი გამოყენების პირობები“ განსაზღვრულ მოთხოვნებს.



მუხლი 9. შედარებითი განაცხადი

1. შედარება შესაძლებელია მხოლოდ ერთი კატეგორიის სურსათისათვის, ამ კატეგორიის სურსათის ასორტიმენტის გათვალისწინებით. მითითებული უნდა იქნეს განსხვავება საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) რაოდენობას ან/და ენერგეტიკულ ღირებულებას შორის. ამ დროს ხდება ერთისა და იმავე რაოდენობის სურსათის შედარება.

2. სურსათის კვებითი ღირებულების შესახებ შედარებითი განაცხადის საშუალებით ხდება განსაზღვრული შედგენილობის სურსათის შედარება იმავე კატეგორიის სურსათის ასორტიმენტთან, რომელთაც არა აქვთ ის შემადგენლობა და მათზე განაცხადის გაკეთების საშუალებას იძლევა, მათ შორის, სხვა სავაჭრო ნიშნის მქონე სურსათიც.

თავი IV. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადი

მუხლი 10. განსაკუთრებული პირობები

1. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსება დაუშვებელია, თუ ის არ აკმაყოფილებს ამ წესის მე-3-მე-7 და მე-12-მე-13 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსება ეტიკეტზე, ან ეტიკეტის არარსებობის შემთხვევაში, რეკლამასა და პრეზენტაციაში დაშვებულია, თუ ის მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) მითითებას მრავალფეროვანი და ბალანსირებული კვებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც მომხმარებელს აწვდის სათანადო ინფორმაციას, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შედეგების მიღწევისათვის კონკრეტული სურსათის მოხმარება წარმოადგენს მრავალფეროვანი და ბალანსირებული კვების ნაწილს და ასეთი სურსათის მოხმარება არ უნდა მოხდეს ქარბი რაოდენობით ან სასარგებლო რაციონის ხარჯზე. ამასთან, მითითებას, რომ ასეთი სურსათის მოხმარება ცხოვრების ჯანსაღი წესის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს;

ბ) მითითებას სურსათის რაოდენობისა და მისი გამოყენების წესის შესახებ, რომელიც საჭიროა განაცხადში მითითებული დადებითი ეფექტის მიღწევისათვის, რისთვისაც:

ბ.ა) მომხმარებელს უნდა მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია, თუ როგორ უნდა იქნეს მოხმარებული აღნიშნული სურსათი დღის განმავლობაში (ერთჯერადად, თუ მრავალჯერადად) სასარგებლო შედეგის მიღწევისათვის;

ბ.ბ) ინფორმაცია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, ხელი არ უნდა შეუწყოს ან შეუშალოს ამ წესის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს სურსათის ქარბ მოხმარებასთან დაკავშირებით;



გ) საჭიროების შემთხვევაში, იმ პირთა მითითებას და განცხადებას მათთვის, ვინც თავი უნდა შეიკავოს ამ სურსათის მოხმარებისაგან;

დ) შესაბამის გაფრთხილებას იმ სურსათზე, რომლის გადაჭარბებული მოხმარება რისკს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ამ წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული სურსათისათვის.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მითითებების არარსებობის შემთხვევაში, დაუშვებელია სურსათის ეტიკეტზე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსება.

5. მითითება საერთო ჯანმრთელობასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კეთილდღეობისათვის, ზოგადად საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტის) ან სურსათის არასპეციფიკური სარგებლობის შესახებ დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში გათვალისწინებულია ამ წესის მე-12 და მე-13 მუხლებით განსაზღვრული ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კონკრეტული მოთხოვნები.

მუხლი 11. შეზღუდვები ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განაცხადთან დაკავშირებით დაუშვებელია ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განაცხადში მითითებულ იქნეს შემდეგი ინფორმაცია:

ა) კონკრეტული სურსათის არმოხმარებით შესაძლებელია ზიანი მიადგეს ადამიანის ჯანმრთელობას;

ბ) სურსათის მოხმარებით შესაძლებელია წონაში კონკრეტული კლება ან მითითებულ იქნეს წონაში დაკლებისათვის საჭირო დრო;

გ) რომელიც ეფუძნება ცალკეული ექიმ(ებ)ის და ჯანმრთელობის დაცვის ცალკეული სპეციალისტების რეკომენდაციებს.

მუხლი 12. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადი, გარდა განაცხადისა, რომელიც ეხება დაავადების რისკის შემცირებას, ბავშვთა განვითარებასა და ჯანმრთელობას

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადი შესაძლებელია განთავსებულ იქნეს ავტორიზაციის გარეშე, თუ ის ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერულ მტკიცებულებებს, ადვილად გასაგებია საშუალო მოხმარებისათვის და მასში მოცემულია ერთ-ერთი ინფორმაცია:

ა) საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) ან სხვა ნივთიერების როლის შესახებ ორგანიზმის ზრდა-განვითარებისა და ფუნქციონირებისათვის;



ბ) ორგანიზმის ფსიქოლოგიური და ქცევითი ფუნქციების შესახებ;

გ) წონის შემცირების, შიმშილის გრძნობის შემცირების, ნაყროვანების გაზრდის ან სურსათის მოხმარებით რაციონიდან შემცირებული ენერჯის მიღების შესახებ.

მუხლი 13. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც ეხება დაავადების რისკის შემცირებას, ბავშვთა განვითარებასა და ჯანმრთელობას

1. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც ეხება დაავადების რისკის შემცირებას, ბავშვთა განვითარებასა და ჯანმრთელობას, განთავსებული უნდა იქნეს მხოლოდ ამ წესის მე-14 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის შემდეგ, ის უნდა ეფუძნებოდეს საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერულ მტკიცებულებებს და ადვილად გასაგები უნდა იყოს მომხმარებლისათვის.

2. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნებისმიერი განაცხადი, რომელიც ეხება დაავადების რისკის შემცირებას და ბავშვთა განვითარებასა და ჯანმრთელობას, უნდა შეიცავდეს ასევე ინფორმაციას, რომ განაცხადში მითითებული დაავადება ხასიათდება რისკის მრავლობითი ფაქტორებით და ერთი რომელიმე ფაქტორის შეცვლას შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს დადებითი ეფექტი.

მუხლი 14. განაცხადის ავტორიზაცია

1. ავტორიზაციისათვის ბიზნესოპერატორმა განცხადებით უნდა მიმართოს სამინისტროს, რომელიც ვალდებულია, 14 დღის განმავლობაში წერილობით დაადასტუროს განცხადების მიღება.

2. სამინისტრო ვალდებულია, ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი გახადოს საზოგადოებისათვის (გადაწყვეტილებით არ უნდა მოხდეს კომერციული საიდუმლოების გასაჯაროება).

3. განცხადება უნდა მოიცავდეს:

ა) ბიზნესოპერატორის დასახელებას და მისამართს;

ბ) საკვები ნივთიერების (ნუტრიენტის) დასახელებას ან სხვა ნივთიერების დასახელებას, სურსათის ან სურსათის კატეგორიის დასახელებას, რომელთა მიმართ უნდა გაკეთდეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადი და მათ განსაკუთრებულ თვისებებს (მახასიათებლებს);

გ) გამოკვლევების ასლებს, მათ შორის, დამოუკიდებელი გამოკვლევების ასლებს, ასეთების არსებობის შემთხვევაში, ასევე ნებისმიერ სხვა კვლევით მასალას, რომელიც განხორციელდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განაცხადთან დაკავშირებით, რითაც დასაბუთებული იქნება, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადი შეესაბამება ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს;



დ) საჭიროების შემთხვევაში მითითებას ინფორმაციაზე, რომელიც წარმოადგენს ბიზნესოპერატორის საკუთრებას. ამ შემთხვევაში თან უნდა ახლდეს შესაბამისი დასაბუთება, რომლითაც შესაძლებელი გახდება აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება;

ე) სხვა სამეცნიერო გამოკვლევების ასლებს, რომელიც შეესაბამება ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განაცხადს;

ვ) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის ფორმულირებას (ტექსტი), რისთვისაც ხდება ავტორიზაცია, მათ შორის, გამოყენების კონკრეტული პირობები;

ზ) განაცხადების რეზიუმეს.

4. ავტორიზაციის მისაღებად დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ხოლო თარგმანის შემთხვევაში სავალდებულოა დოკუმენტების დედნის წარდგენაც.

5. დოკუმენტების სისწორესა და ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ბიზნესოპერატორი.

6. სამინისტრო, განაცხადების მიღებიდან 5 თვის ვადაში, ახორციელებს მიღებული სამეცნიერო ინფორმაციის, ასევე ბიზნესოპერატორის მიერ წარდგენილი სხვა ნებისმიერი ინფორმაციის შეფასებას.

7. სამინისტრო, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია, ავტორიზაციისათვის მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, რომლის შეფასებას ახორციელებს დამატებით 2 თვის ვადაში.

8. სამინისტრო ავტორიზაციისათვის ამოწმებს:

ა) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადი დადასტურებულია თუ არა სამეცნიერო მონაცემებით;

ბ) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის ფორმულირების შესაბამისობას ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

9. სამინისტროს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გადაწყვეტილებაში აღნიშნული უნდა იქნეს:

ა) განმცხადებლის დასახელება და მისამართი;

ბ) საკვები ნივთიერება (ნუტრიენტი) ან სხვა ნივთიერება ან სურსათი ან სურსათის კატეგორია, რომლის მიმართაც კეთდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადი და მისი განსაკუთრებული თვისებები (მახასიათებლები);

გ) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის ფორმულირება (ტექსტი), რისთვისაც ხდება ავტორიზაცია, მათ შორის, გამოყენების კონკრეტული პირობები;



დ) საჭიროების შემთხვევაში, სურსათის გამოყენების პირობები ან შეზღუდვები ან/და დამატებითი მითითება ან გაფრთხილება, რომელიც თან უნდა ახლდეს ეტიკეტსა და რეკლამაში ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განაცხადს.

10. სამინისტრო ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განაცხადთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს განმცხადებელს და ავტორიზაციის შესახებ ინფორმაციას განათავსებს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ერთი თვის განმავლობაში.

11. ავტორიზაციაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს არასწორად და არასრულად წარდგენილი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში შეუსაბამობის გონივრულ ვადაში აღმოუფხვრელობა და დოკუმენტების გაყალბება.

12. ბიზნესოპერატორის მოთხოვნის საფუძველზე, როდესაც იგი მოითხოვს მონაცემების დაცვას, რომელიც მის საკუთრებას წარმოადგენს, სამინისტრო, ამ წესებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის ავტორიზაციას ახდენს 5 წლის ვადით.

13. ავტორიზაციის შეცვლის, შეჩერებისა და გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს ახალი გარემოებები, რომლითაც დასტურდება, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადი ვერ აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

14. იმპორტირებული სურსათი საქართველოში დაიშვება კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15. კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადების რეესტრი

1. სამინისტრო ვალდებულია, აწარმოოს კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადების რეესტრი.

2. რეესტრი უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) ამ წესის დანართი №1-ით განსაზღვრულ განაცხადს კვებითი ღირებულების შესახებ და მისი გამოყენების პირობებს;

ბ) ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ავტორიზებულ განაცხადს და გამოყენების პირობებს;

გ) ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განაცხადს, რომელიც უარყოფითად იქნა შეფასებული და მათი უარყოფის მიზეზი;

დ) ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განაცხადს, რომელმაც ავტორიზაცია გაიარა ბიზნესოპერატორის საკუთრებაში არსებული მონაცემების საფუძველზე, შემდეგი ინფორმაციის მითითებით:

დ.ა) თავდაპირველი განმცხადებლის დასახელება და ავტორიზაციის თარიღი;



დ.ბ) ავტორიზაცია ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განაცხადზე გაცემულ იქნა იმ მონაცემების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს საკუთრებას და გამოიყენება შეზღუდული ვადით.

მუხლი 16. მონაცემთა დაცვა

1. განაცხადის სამეცნიერო და სხვა სახის ინფორმაცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა განმცხადებლის სასარგებლოდ 5 წლის განმავლობაში დღიდან ავტორიზაციისა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მომდევნო განმცხადებლის მიერ პირველ განმცხადებელთან შეთანხმებულ იქნა ამ ინფორმაციის გამოყენება იმ პირობით, რომ:

ა) პირველი განმცხადებლის მიერ წარდგენილი სამეცნიერო მონაცემები და ინფორმაცია წარმოადგენს მის საკუთრებას;

ბ) პირველმა განმცხადებელმა განაცხადების წარდგენისას ისარგებლა მის საკუთრებაში არსებული მონაცემებით;

გ) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის ავტორიზაცია ვერ განხორციელდებოდა იმ მონაცემების გარეშე, რომელიც წარმოადგენს პირველადი განმცხადებლის საკუთრებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხუთწლიანი ვადის ამოწურვამდე, განმცხადებელს უფლება არა აქვს გამოიყენოს პირველი განმცხადებლის საკუთრებაში არსებული მონაცემები.

დანართი №1

კვებით ღირებულებასთან დაკავშირებული განაცხადი და მისი გამოყენების პირობები

1. დაბალი ენერგეტიკული ღირებულება (დაბალკალორიული)

განაცხადი, რომ სურსათი არის დაბალი ენერგეტიკული ღირებულებისა/დაბალკალორიული და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მყარი კონსისტენციის სურსათისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი 100 გ-ის კალორიულობა არ აღემატება 40 კკალ-ის (170 კჯ), ხოლო თხევადი სურსათის 100 მლ-ის კალორიულობა არ აღემატება 20 კკალ-ის (80 კჯ). სამაგიდე (სასუფრე) დამატკბობელისათვის ზღვარი უნდა იყოს 4 კკალ-ის (17 კჯ) ფორციაში, რომლის დამატკბობელი ეფექტი 6 გ საქაროზის (დახალოებით 1 ჩაის კოვზი) გამოყენების ეკვივლენტურია.



2.შემცირებული ენერგეტიკული ღირებულება (შემცირებულკალორიული)

განაცხადი, რომ სურსათი არის შემცირებული ენერგეტიკული ღირებულების/ შემცირებული მისი კალორიულობა და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც ენერგეტიკული ღირებულება/ კალორიულობა მცირდება სულ მცირე **30** %-ით, იმ მახასიათებლის მითითებით, რომლის შემცირებითაც შემცირდა სურსათის საერთო ენერგეტიკული ღირებულება.

3.ენერგეტიკული ღირებულების გარეშე (კალორიების გარეშე)

განაცხადი, რომ სურსათი ენერგეტიკული ღირებულების/ კალორიულობის გარეშეა და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც **100** გ ან **100** მლ-ის სურსათის კალორიულობა არ აღემატება **4** კკალ-ზე (**17** კჯ) მეტს. სამაგიდე (სასუფრე) დამატკობელისათვის ზღვარი უნდა იყოს **0,4**კკალ-ის(**1,7** კჯ) პორციაში, რომლის დამატკობელი ეფექტი **6** გრ საქაროზის (დახალოებით **1** ჩაის კოვზი) ეკვივლენტურია.

4.დაბალი ცხიმშემცველობა (დაბალცხიმიანი)

განაცხადი, რომ სურსათი არის დაბალი ცხიმშემცველობის/ დაბალცხიმიანი და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც სურსათში ცხიმის შემცველობა არაუმეტეს **3** გ-ია **100** გ მყარი სურსათისათვის, ხოლო თხევადისათვის – **1,5** გ ცხიმი **100** მლ-ში (ნახევრადმოხდილ რძეში არაუმეტეს **1,8** გ ცხიმი **100** მლ-ში).

5.ცხიმის გარეშე (უცხიმო)

განაცხადი, რომ სურსათი არის ცხიმის გარეშე /უცხიმო და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც სურსათის **100** გ -ში, ან **100** მლ-ში ცხიმის შემცველობა არაუმეტეს **0,5** გ-ია. თუმცა, განაცხადი, რომ “**X** % – უცხიმო“ დაუშვებელია.

6.ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების დაბალი შემცველობა

განაცხადი, რომ სურსათი არის ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების დაბალი შემცველობით და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაჯერი ცხიმოვანი მჟავებისა და ტრანსცხიმების ჯამი **100** გ მყარ სურსათში არ აღემატება **1,5** გ ან **100** მლ-ის თხევად სურსათში – **0,75** გ. ყველა შემთხვევაში ნაჯერი ცხიმოვანი მჟავებისა და ტრანსცხიმების საერთო რაოდენობა არ უნდა შეადგენდეს სურსათის კალორიულობის (ენერგეტიკული ღირებულების) **10** %-ზე მეტს.



7. ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების გარეშე

განაცხადი, რომ სურსათი არის ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების გარეშე/თავისუფალია ნაჯერი ცხიმოვანი მჟავებისაგან და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაჯერი ცხიმოვანი მჟავებისა და ტრანსცხიმოვანი მჟავების ჯამი არ აღემატება **0,1 გ** ნაჯერ ცხიმოვან მჟავას **100 გ** ან **100 მლ**-ის სურსათში.

8. ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების შემცირებული (დაბალი) შემცველობა

განაცხადი, რომ სურსათი არის ნაჯერი ცხიმოვანი მჟავების შემცირებული (დაბალი) შემცველობით და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) სურსათში ნაჯერი ცხიმოვანი მჟავებისა და ტრანსცხიმოვანი მჟავების საერთო რაოდენობა არანაკლებ **30%**-ით ნაკლებია ანალოგიურ პროდუქტთან შედარებით;

ბ) სურსათში ტრანსცხიმოვანი მჟავების შემცველობა ანალოგიურ პროდუქტში ტრანსცხიმოვანი მჟავების შემცველობის ტოლია ან ნაკლებია.

9. შაქრის დაბალი შემცველობა (დაბალშაქრიანი)

განაცხადი, რომ სურსათი არის შაქრის დაბალი შემცველობით (დაბალშაქრიანი) და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მყარი კონსისტენციის სურსათისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის **100 გ**-ში შაქრის შემცველობა არ აღემატება **5 გ**-ს, ხოლო თხევადი სურსათის **100 მლ**-ში შაქრის შემცველობა არ აღემატება **2,5 გ**-ს.

10. შაქრის გარეშე (უშაქრო)

განაცხადი, რომ სურსათი არის შაქრის გარეშე (უშაქრო) და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც სურსათის **100 გ** -ში ან **100 მლ**-ში შაქრის შემცველობა არაუმეტეს **0,5 გ**-ია.

11. შაქრის დამატების გარეშე

განაცხადი, რომ სურსათი შაქრის არის დამატების გარეშე და ნებისმიერი განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სურსათს ან სხვა სურსათს, რომლებიც გამოიყენება მისი დამატებობელი თვისებების გამო არ აქვს დამატებული მონო- ან დისაქარიდები. თუ შაქარი ბუნებრივად არსებობს სურსათში, ეტიკეტზე უნდა გამოჩნდეს შემდეგი მითითება: „შეიცავს მხოლოდ ბუნებრივ შაქრებს“.



12. შაქრის შემცირებული (დაბალი) შემცველობა

განაცხადი, რომ სურსათი არის შაქრის შემცირებული (დაბალი) შემცველობით და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურსათის ენერგეტიკული ღირებულება ამავე კატეგორიის პროდუქტისთვის განსაზღვრული ენერგეტიკული ღირებულების ტოლია ან ნაკლებია.

13. ნატრიუმის/მარილის დაბალი შემცველობა (დაბალი ატრიუმით/მარილით)

განაცხადი, რომ სურსათი არის მარილის დაბალი შემცველობით/ დაბალ მარილითა და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურსათის 100 გ-ში ან 100 მლ-ში მარილის შემცველობა არ აღემატება 0,12 გ ნატრიუმს ან მარილის ეკვივალენტს. წყლის შემთხვევაში, გარდა ნატურალური მინერალური წყლებისა, ეს მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს 2 მგ ნატრიუმს 100 მლ-ის -ში.

14. ნატრიუმის/მარილის ძალიან დაბალი შემცველობა (ძალიან დაბალი ნატრიუმით/მარილით)

განაცხადი, რომ სურსათი არის მარილის ძალიან დაბალი შემცველობით/ ძალიან დაბალი მარილით და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურსათის 100 გ-ში ან 100 მლ-ში მარილის შემცველობა არ აღემატება 0,04 გ ნატრიუმს ან მარილის ეკვივალენტს. ეს განაცხადი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნატურალური მინერალური და სხვა წყლებისათვის.

15. ნატრიუმისგან/მარილისგან თავისუფალი (უმარილო)

განაცხადი, რომ სურსათი არის მარილისგან თავისუფალი (უმარილო), და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურსათის 100 გ-ში მარილის შემცველობა არ აღემატება 0,005 გ ნატრიუმს ან მარილის ეკვივალენტს.

16. ნატრიუმის/ მარილის დამატების გარეშე

განაცხადი, რომ სურსათი არის ნატრიუმის/მარილის დამატების გარეშე და ნებისმიერი განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისთვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სურსათს არა აქვს დამატებული ნატრიუმი/მარილი ან სხვა ინგრედიენტი, რომელიც შეიცავს ნატრიუმს/მარილს. 100გ ან 100 მლ-ის სურსათში ნატრიუმის /მარილის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0,12 გ ნატრიუმს ან მარილის ეკვივალენტს.

**17. ბოჭკოვანი ნივთიერებების წყარო**

განაცხადი, რომ სურსათი წარმოადგენს ბოჭკოვანი ნივთიერებების წყაროს და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ **100** გ სურსათში ბოჭკოვანი ნივთიერებების შემცველობა არანაკლებ **3** გ-ს შეადგენს, ან **100** კკალ-ზე ბოჭკოვანი ნივთიერება არანაკლებ **1,5** გ-ია.

18. ბოჭკოვანი ნივთიერების მაღალი შემცველობა

განაცხადი, რომ სურსათი ბოჭკოვანი ნივთიერებების მაღალი შემცველობითაა და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **100** გ სურსათში ბოჭკოვანი ნივთიერებების შემცველობა არანაკლებ **6** გ-ს შეადგენს, ან **100** კკალ-ზე ბოჭკოვანი ნივთიერება არანაკლებ **3** გ-ია.

19. ცილის წყარო

განაცხადი, რომ სურსათი წარმოადგენს ცილის წყაროს და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურსათის ენერგეტიკული ღირებულების არანაკლებ **12%** უზრუნველყოფილია ცილით.

20. ცილის მაღალი შემცველობა

განაცხადი, რომ სურსათი არის ცილის მაღალი შემცველობით და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურსათის ენერგეტიკული ღირებულების არანაკლებ **20 %** უზრუნველყოფილია ცილით.

21. ვიტამინების (დასახელება) და მინერალების (დასახელება) წყარო

განაცხადი, რომ სურსათი წარმოადგენს ვიტამინების (დასახელება) და მინერალების (დასახელება) წყაროს და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურსათი შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად დამატებულ ვიტამინებსა და მინერალებს.

22. ვიტამინების (დასახელება) და მინერალების (დასახელება) მაღალი შემცველობა

განაცხადი, რომ სურსათი არის ვიტამინების (დასახელებს) და მინერალების (დასახელება) მაღალი შემცველობით ან წარმოადგენს ვიტამინების (დასახელება) და მინერალების (დასახელება) წყაროს და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურსათი შეიცავს ვიტამინების (დასახელება) და მინერალების (დასახელება) არანაკლებ ორჯერ მეტ რაოდენობას.



23. შეიცავს საკვები ნივთიერებას (ნუტრიენტს) ან სხვა ნივთიერებას (დასახელება)

განაცხადი, რომ სურსათი შეიცავს საკვებ ნივთიერებას (ნუტრიენტს) ან სხვა ნივთიერებებს, რომელთათვისაც ამ წესით არ არის განსაზღვრული პირობები, და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურსათი აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას. ვიტამინებისა და მინერალებისათვის კი გამოყენებული უნდა იქნეს ვიტამინების (დასახელება) და მინერალების (დასახელება) „წყაროსთან“ დაკავშირებული მოთხოვნები.

24. საკვები ნივთიერების (ნუტრიენტის) (დასახელება) – გაზრდილი შემცველობა

განაცხადი, რომ სურსათი შეიცავს ერთ ან რამდენიმე საკვებ ნივთიერებას (ნუტრიენტს) გაზრდილი რაოდენობით, გარდა ვიტამინებისა და მინერალებისა და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურსათი აკმაყოფილებს ვიტამინების (დასახელება) და მინერალების (დასახელება) „წყაროსთან“ დაკავშირებულ პირობებს და მათი შემცველობა, ანალოგიურ პროდუქტთან შედარებით, 30%-ით მეტია.

25. საკვები ნივთიერების (ნუტრიენტის) (დასახელება) – შემცირებული შემცველობა

განაცხადი, რომ სურსათის შემადგენლობა შემცირებულია ერთი ან მეტი საკვები ნივთიერებით (ნუტრიენტი), და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურსათში საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტების) შემცველობა, ანალოგიურ პროდუქტთან შედარებით, 30%-ით ნაკლებია, გარდა მიკროელემენტებისა, რომელთა შემცველობა 10 %-ით ნაკლები უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ განსაზღვრულ მიკროელემენტების რეკომენდებულ დოზებზე, ხოლო ნატრიუმისათვის ან მარილის ეკვივალენტური რაოდენობისათვის – 25%-ით ნაკლები.

26. „სუსტი“/„მსუბუქი“

განაცხადი, რომ სურსათი არის „სუსტი“ ან „მსუბუქი“ და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, გამოყენებული უნდა იქნეს იმავე მნიშვნელობით, როგორც „შემცირებული“. განაცხადში მითითებული უნდა იქნეს ის მახასიათებ(ელ)ლები, რომლითაც სურსათი გახდა „სუსტი“ ან „მსუბუქი“.

**27. ბუნებრივად/ ბუნებრივი (ნატურალური)**

თუ სურსათი ბუნებრივად აკმაყოფილებს „ბუნებრივის“ (ნატურალურის) პირობებს ამ დანართის შესაბამისად, ტერმინები „ბუნებრივი (ნატურალური)/ ბუნებრივად“ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს განაცხადის პრეფიქსად.

28. ცხიმოვანი მჟავა ომეგა-3-ის წყარო

განაცხადი, რომ სურსათი ცხიმოვანი მჟავა ომეგა-3-ის წყაროს წარმოადგენს და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურსათის ყოველ 100 გ-ში და 100 კკალ-ზე ალფა-ლინოლენის მჟავის შემცველობა არანაკლებ 0,3 გ-ია, ან დოკოზოჰექსანის მჟავისა (DHA) და ეიკოზაპენტანის მჟავის (EPA) საერთო რაოდენობა სურსათის ყოველ 100 მგ-ში და 100 კკალ-ზე შეადგენს არანაკლებ 40 მგ-ს.

29. ცხიმოვანი მჟავა ომეგა-3-ის მაღალი შემცველობა

განაცხადი, რომ სურსათი არის ცხიმოვანი მჟავა ომეგა-3-ის მაღალი შემცველობით და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურსათის ყოველ 100 გ-ში და 100 კკალ-ზე ალფა-ლინოლენის მჟავის შემცველობა არანაკლებ 0,6 გ-ია, ან დოკოზოჰექსანის მჟავისა (DHA) და ეიკოზაპენტანის მჟავის (EPA) საერთო რაოდენობა სურსათის ყოველ 100 გ-ში და 100 კკალ-ზე შეადგენს არანაკლებ 80 მგ-ს.

30. მონოუჯერი ცხიმოვანი მჟავების მაღალი შემცველობა

განაცხადი, რომ სურსათი არის მონოუჯერი ცხიმოვანი მჟავების მაღალი შემცველობით და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურსათის შემადგენელი ცხიმოვანი მჟავების არანაკლებ 45% მიღებულია მონოუჯერი ცხიმებიდან, იმ პირობით, რომ მონოუჯერი ცხიმი სურსათის ენერგეტიკული ღირებულების 20%-ზე მეტს უზრუნველყოფს.

31. პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავების მაღალი შემცველობა

განაცხადი, რომ სურსათი არის პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავების მაღალი შემცველობით და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურსათის შემადგენელი ცხიმოვანი მჟავების არანაკლებ 45% მიღებულია პოლიუჯერი ცხიმებიდან, იმ პირობით, რომ პოლიუჯერი ცხიმი სურსათის ენერგეტიკული ღირებულების 20%-ზე მეტს უზრუნველყოფს.



32. უჯერი ცხიმოვანი მჟავების მაღალი შემცველობა

განაცხადი, რომ სურსათი არის უჯერი ცხიმოვანი მჟავების მაღალი შემცველობით და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურსათის შემადგენელი ცხიმოვანი მჟავების არანაკლებ 70 % მიღებულია უჯერი ცხიმებიდან, იმ პირობით, რომ უჯერი ცხიმი სურსათის ენერგეტიკული ღირებულების 20%-ზე მეტს უზრუნველყოფს.

დანართი №2

ვიტამინები და მინერალები, რომლებიც დაშვებულია სასურსათო (სურსათის) დანამატების წარმოებისათვის

| 1. ვიტამინები | 2. მინერალები |
|--|-----------------|
| ვიტამინი A (მკგ) (მკგ- რეთინოლის ეკვივალენტი) | კალციუმი (მგ) |
| ვიტამინი D (მკგ) | მაგნიუმი (მგ) |
| ვიტამინი E (მგ) (მგ – α ტოკოფეროლის ეკვივალენტი) | რკინა (მგ) |
| ვიტამინი K (მკგ) | სპილენძი (მკგ) |
| ვიტამინი B ₁ (მგ) | იოდი (მკგ) |
| ვიტამინი B ₂ (მგ) | თუთია (მგ) |
| ნიაცინი (ვიტამინი PP) (მგ) (მგ-ნიაცინის ეკვივალენტი) | მანგანუმი (მგ) |
| პანთოთენის მჟავა (მგ) | ნატრიუმი (მგ) |
| ვიტამინი B ₆ (მგ) | კალიუმი (მგ) |
| ფოლის (ფოლიუმის) მჟავა (მკგ)* | სელენი (მკგ) |
| ვიტამინი B ₁₂ (მკგ) | ქრომი (მკგ) |
| ბიოტინი (მკგ) | მოლიბდენი (მკგ) |
| ვიტამინი C (მგ) | ფტორიდი (მგ) |
| | ქლორიდი (მგ) |
| | ფოსფორი (მგ) |
| | ბორი (მგ) |
| | სილიციუმი (მგ) |



* ფოლიუმის მჟავა – წყალში ხსნადი **B** ჯგუფის ვიტამინია და სხვაგვარად **B9** ვიტამინი ეწოდება. ფოლიუმის მჟავა სხვა წარმოებულებთან ერთად, როგორებიცაა დი-, ტრი-, პოლიგლუტამატები და სხვ. გაერთიანებულნი არიან ფოლატების სახელწოდებით.

დანართი №3

გამოყენების რეკომენდებული ნორმები

ნაწილი „ა“ – ვიტამინებისა და მინერალების სადღეღამისო გამოყენების რეკომენდებული ნორმები ზრდასრული ადამიანისთვის

1. ვიტამინები და მინერალები, რომელიც შესაძლებელია მითითებული იქნეს და მათი სადღეღამისო გამოყენების რეკომენდებული ნორმები:

| დასახელება | ერთეული | სადღეღამისო გამოყენების რეკომენდებული ნორმა |
|--------------------------------|---------|---|
| ვიტამინი A | მკგ | 800 |
| ვიტამინი D | მკგ | 5 |
| ვიტამინი E | მგ | 12 |
| ვიტამინი K | მკგ | 75 |
| ვიტამინი C | მგ | 80 |
| თიამინი | მგ | 1,1 |
| რიბოფლავინი | მგ | 1,4 |
| ნიაცინი | მგ | 16 |
| ვიტამინი B₆ | მგ | 1,4 |
| ფოლიუმის მჟავა | მკგ | 200 |
| ვიტამინი B₁₂ | მკგ | 2,5 |
| ბიოტინი | მკგ | 50 |
| პანტოტენის მჟავა | მგ | 6 |
| კალიუმი | მგ | 2 000 |
| ქლორიდი | მგ | 800 |
| კალციუმი | მგ | 800 |
| ფოსფორი | მგ | 700 |
| მაგნიუმი | მგ | 375 |
| რკინა | მგ | 14 |



| | | |
|-----------|-----|------------|
| თუთია | მგ | 10 |
| სპილენძი | მგ | 1 |
| მანგანუმი | მგ | 2 |
| ფტორიდი | მგ | 3,5 |
| სელენი | მკგ | 55 |
| ქრომი | მკგ | 40 |
| მოლიბდენი | მკგ | 50 |
| იოდი | მკგ | 150 |

2. ვიტამინებისა და მინერალების აუცილებელი (საჭირო) რაოდენობის დადგენისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) ამ დანართის ნაწილი „ა“-ს პირველი პუნქტით განსაზღვრული საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტის) რეკომენდებული ნორმის **15 %**, **100 გ** ან **100 მლ**-ის სურსათისათვის, გარდა სასმელებისა;

ბ) ამ დანართის ნაწილი „ა“-ს პირველი პუნქტით განსაზღვრული საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტის) რეკომენდებული ნორმის **7,5%**, **100 მლ**-ის სასმელისათვის;

გ) ამ დანართის ნაწილი „ა“-ს პირველი პუნქტით განსაზღვრული საკვები ნივთიერებების (ნუტრიენტის) რეკომენდებული ნორმის **15 %** ,**1** პორციისათვის, თუ შეფუთვაში მხოლოდ ერთი პორციაა.

ნაწილი „ბ“ – ზრდასრული ადამიანისთვის სადღეღამისო გამოყენების რეკომენდებული ნორმები ენერგეტიკული ღირებულებისათვის და ცალკეული საკვები ნივთიერებებისათვის (ნუტრიენტისათვის), გარდა ვიტამინებისა და მინერალებისა

| ენერგეტიკული ღირებულება ან საკვები ნივთიერება (ნუტრიენტი) | გამოყენების რეკომენდებული ნორმა |
|---|---------------------------------|
| ენერგეტიკული ღირებულება | 8400 კჯ/2000 კკა |
| ცხიმის საერთო რაოდენობა | 70 გ |
| ნაჯერი ცხიმოვანი მჟავები | 20 გ |
| ნახშირწყლები | 260 გ |
| შაქრები | 90 გ |
| ცილა | 50 გ |
| მარილი | 6 გ |



komentarebi /manual ebi

მიწაზე ქონების გადასახადის ხარჯად გამოქვითვა 0267





ანოტაცია

„მიწაზე ქონების გადასახადის ხარჯად გამოქვეითვა“ №0267

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს მიწაზე ქონების გადასახადის ხარჯად გამოქვეითვის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, 2014 საანგარიშო წლის მიხედვით წარდგენილ მოგების გადასახადის დეკლარაციაში საწარმოს ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვით ხარჯებში ჩართული აქვს მიწაზე ქონების გადასახადი.


სახელმძღვანელოში განხილულ პირველ შემთხვევაში საწარმოს მიწა შეძენილი აქვს 2015 წლის თებერვალში. შესაბამისად, დასაბეგრი მიწის შესახებ მონაცემები შეტანილია ქონების გადასახადის დეკლარაციაში, რომელიც წარედგინება არა უგვიანეს 2015 წლის 1 აპრილისა. მეორე შემთხვევაში საწარმოს მიწა შეძენილი აქვს 2014 წლის მარტში. შესაბამისად, დასაბეგრი მიწის შესახებ მონაცემები შეტანილია ქონების გადასახადის დეკლარაციაში, რომელიც წარედგინება არაუგვიანეს 2014 წლის 1 აპრილისა. ხოლო მესამე შემთხვევაში საწარმოს მიწა შეძენილი აქვს 2014 წლის აგვისტოში. შესაბამისად, დასაბეგრი მიწის შესახებ მონაცემები შეტანილია ქონების გადასახადის დეკლარაციაში, რომელიც წარედგინება არაუგვიანეს 2015 წლის 1 აპრილისა.

სსკ-ის 203-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელი პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე. ამავე კოდექსის 135-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო წლად ითვლება კალენდარული წელი. სსკ-ის 205-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების გათვალისწინებით, ქონების გადასახადის საგადასახადო პერიოდად ითვლება კალენდარული წელი, ხოლო ქონების გადასახადის დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი მიწის შესახებ შეიტანება მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით.

პირველ და მესამე შემთხვევებში, იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს 2015 წლიდან, იგი არ არის უფლებამოსილი 2014 საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვეითოს მიწაზე ქონების გადასახადი. ხოლო მეორე შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს 2014 წლიდან, იგი უფლებამოსილია 2014 საანგარიშო წლის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვეითოს მიწაზე ქონების გადასახადი.



წილის შექმნის მიზნით გადახდილი თანხების გამოქვითვა 0268





ანოტაცია

„წილის შეძენის მიზნით გადახდილი თანხების გამოქვითვა“ №0268

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს სახელმწიფოსაგან სიმბოლურ ფასად (1 ლარი) შეძენილი 100%-იანი წილის ხელშეკრულების გადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოშლამდე საანგარიშო პერიოდებში პარტნიორის (კომპანიის) მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ინვესტირებული საწარმოს კაპიტალში განხორციელებული შენატანის და პირგასამტეხლოს ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს პროექტის მიხედვით, კომპანიამ 2011 წელს სახელმწიფოსთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შპს-ის 100% წილის შეძენასთან დაკავშირებით. წილის ღირებულება განისაზღვრა 1 ლარით და 5 წლიანი საინვესტიციო ვალდებულებით (შპს-ს კაპიტალში ყოველწლიური ფულადი შენატანის სახით). ფულადი შენატანების დროს შედგენილია კომპანიის საოქმო გადაწყვეტილება კაპიტალის გაზრდის შესახებ.

კომპანიამ 2013 წელს მიიღო გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოშლის შესახებ, რისთვისაც გადაიხადა პირგასამტეხლო 100 000 ლარი. ამასთან, ხელშეკრულების მოშლამდე ინვესტირებულმა თანხამ შეადგინა 1 500 000 ლარი, რომელიც სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

კომპანიამ ინვესტირებული თანხა 1 500 000 ლარი და პირგასამტეხლო 100 000 ლარი მიიჩნია წილის შეძენისთვის გაწეულ ხარჯად და ასახა ხელშეკრულების მოშლის საანგარიშო პერიოდის (2013 წლის) ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვით ხარჯებში.

სსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად გამოქვითვას არ ექვემდებარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინვესტირებული თანხა (1 500 000 ლარი) და პირგასამტეხლო (100 000 ლარი) განხილულ უნდა იქნეს ერთობლივი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ გამოსაქვით ხარჯად.

ღიზარინი ჰოციბიხაფია

- » ეტიკატიბი
- » ბუკლეტიბი
- » კლაკატიბი
- » შესაფუთი პაკეტიბი
- » ნიბნები